# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 3 თებერვალი. 2016 წ. №20 (7912), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## საქართველოს დამღუპველი

## კანონი ფარატინა ფურცლად უნდა დარჩეს



პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის დაცვის დღედ და მრევლს ამ დღეს ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტაციების გამართვისკენ მოუწოდა და აბა მომავალში რაღას გაბედავდნენ ქართველი პედერასტები, მაგრამ?..

„ქართული ოცნებისა და ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის „უწმინდესი პატრიარქის“, სამების აღმშენებლის ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ჩვენმა მართლაც უწმინდესმა პატრიარქმა, საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა!

4

## თვით ევროპელები – ევროკავშირის თაობაზე!...

**ერთ-ერთი ევროკომისიელისა და იმ მავანი ბრიუსელელის საუბარი, რომელი ბრიუსელელიც დაეჭვებულია ევროკავშირისა და დასავლური დემოკრატიის მომავალში**

8

## ქართველები რუსეთს „იპყრობენ“



**რუსეთის უმსხვილესი და უძველესი სამედიცინო დაწესებულების „ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის“ დირექტორად ამირან შოთას ძე რევიშვილი დაინიშნა.**

რევიშვილის დანიშვნასთან დაკავშირებულ ბრძანებას ხელი რუსეთის ჯანდაცვის მინისტრმა ვერონიკა სკვორცოვამ მოაწერა.

**„ბატონი ამირანის კომპეტენტურობა და გამოცდილება ეჭვს არ იწვევს“,** – განაცხადა რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ოლეგ სალაგაიმ.

**ამირან რევიშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია და „ა.ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის“ ტექიამიტრიის მკურნალობის განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა.**

**ამირანი ცნობილი ქართველი ფილოლოგი-მეცნიერის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარის, აწ განსვენებული შოთა რევიშვილის ვაჟიშვილია.**

## ნაღვაწი, რომელსაც ყავლი არასოდეს არ გაუვა

5



**სიტყვა ხუროთმოძღვარ შოთა ყავლაშვილზე**

**ახვლედიანის სკანდალური დოკუმენტი, შეშფოთებული ნულუკიანი და მურუსიძის საბჭოს კვლევა...** 7

**დღის კარიკატურა**




## ვასილ ბოლაშვილის „მკვდარი სულები“,

## ანუ რატომ აფარებს ხელს პროკურატურა დამნაშავეს?!



6

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.470; ევრო - 2.682;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.526;
100 რუბლი - 3.256; თურქული ლირა - 0.831;
აზერბაიჯანული მანათი - 1.569;
1000 სომხური დრამი - 5.069

**ამინდი 3 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთ საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე -4, | დღე +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -9, | დღე +8 |
| დასავლეთ საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე -2, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -5, | დღე +9 |
| თბილისი: | ღამე 0, | დღე +9 |


**ჩვენი მისამართია:**
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

## საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია ბიუროს სხდომით გაიხსნა

**საგაზაფხულო სესია ბიუროს სხდომაზე გაიხსნა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, „საქართველოს კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, თებერვლის პირველ სამშაბათს პარლამენტი იწყებს მუშაობას საგაზაფხულო სესიის რეჟიმში.“**

ბიუროს წევრებმა მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს.

ბიუროს წევრებმა კენჭი უყარეს გამოსვლების ფორმატის თაობაზე უმრავლესობისა და უმცირესობის მიერ დასმულ ორი წინადადებას. ბიუროს გადაწყვეტილებით პრეზიდენტის მოხსენების შემდეგ, საპარლამენტო განხილვა ფრაქციების ხელმძღვანელების გამოსვლის რეჟიმში გაგრძელდება. ასევე გადაწყდა, რომ თითოეული ფრაქციის გამოსვლის ხანგრძლივობა იქნება 15 წუთი.

პარლამენტის სხდომა დღეს, 14 საათზე დაიწყება.



„გთხოვთ, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პარლამენტი იყოს შეკრებილი ამ დროისთვის და სათანადოდ დავხვდეთ პრეზიდენტს და სხვა სტუმრებს, ვინც მობრძანებას გადაწყვეტს“, — მიმართა დეპუტატებს დავით უსუფაშვილმა.

იმსჯელეს ოთხშაბათის ტრადიციული განცხადებების ნაწილის გამართვის თაობაზე. იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტი 1 თვის განმავლობაში არ შეკრებილა და განცხადებების გასაკეთებლად საკითხები დაგროვდა, დავით უსუფაშვილმა ბიუროს წევრებს შესთავაზა, ნაცვლად ოთხშაბათისა, განცხადებების ნაწილი პარასკევს, 5 თებერვლის პლენარულ სხდომაზე ნახევარსაათიან რეჟიმში გაიმართოს.

## პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას დებატები არ გაიმართება

**პრეზიდენტის პარლამენტში სიტყვით გამოსვლის ფორმატი დამტკიცებულია. უმრავლესობის გადაწყვეტილებით პოლიტიკური დებატები არ გაიმართება.**

გიორგი მარგველაშვილის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, პარლამენტის 12 ფრაქცია 15-15-წუთიანი სიტყვით გამოვა. როგორც ცნობილია, საპარლამენტო ოპოზიცია დებატების გამართვას ითხოვდა.

## პატივი ეცით რელიგიურ სიწმინდეებს!!!

**რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის ფულადი სანქციების დაწესება მხოლოდ მართლმადიდებლებს არ ეხებათ, — ამის შესახებ განმარტება დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის განხილვისას გააკეთა.**

„თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, რომ როდესაც ვიღაცას შეურაცხყოფას აყენებს, ამისთვის უნდა დაისაჯოს. ჩვენ კანონპროექტთან დაკავშირებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, დავხვეწოთ და თუ ლოგიკით ერთმანეთს დავარწმუნებთ, ალბათ შევჯერდებით“, — აღნიშნა დეპუტატმა.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.

ამავე პროექტით, რელიგიური შენობების და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

პროექტის ავტორი „დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ დირექტორი ზვიად ტომარაძეა.

## ელისაშვილმა ახალი ნავსაყუდელი მოძებნა

**შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილის განცხადებით, „თავისუფალი დემოკრატები“ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს დასვამენ.**



ფრაქციის წევრებს ელისაშვილი დახურულ ფორმატში იმ ბრალდებებთან დაკავშირებით შეხვდა, რომელსაც შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობის პერიოდს უკავშირებს.

„შევთანხმდით მჭიდრო თანამშრომლობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება კიდევ უნდა გავცვალოთ. გვაქვს პრინციპული თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ფრაქცია უახლოეს მომავალში დასვამს კომისიის შექმნის საკითხს და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ“, — განაცხადა ელისაშვილმა.

რაც შეეხება მის პოლიტიკურ მიზნებს, ელისაშვილის განცხადებით, პოლიტიკური მიზნები აქვს, თუმცა, ის არც საპარლამენტო და არც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს.

მისი მტკიცებით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მისი კავშირი გამორიცხულია.

„როცა „ნაციონალურ მოძრაობა“ ხეირის მატარებელი იყო, მას მაშინ არ ვეკარებოდი და ვაკრიტიკებდი და ახლა დამარცხებულ, დაქსაქსულ პარტიაში შევალ? არც ერთ პარტიაში შესვლას არ ვაპირებ. არჩეული დეპუტატი ვარ და ვმუშაობ იქ, სადაც ვარ.

## „სანტეს“ პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე „ლაქტალისის“ დახმარებით გავა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მსოფლიოში ცნობილი ფრანგული კომპანია „ლაქტალისის“და ქართული კომპანია „სანტეს“ წარმომადგენლებს შეხვდა. საუბარი შეეხო საქართველოს საინვესტიციო გარემოს და თანამშრომლობის პერსპექტივებს.**




შეხვედრაზე აღინიშნა, რომ „ლაქტალისი“ ქართული რძის პროდუქტების კომპანია „სანტეს“ ერთ-ერთი აქციონერი გახდა, რაც კომპანიას მისცემს საშუალებას წარმოაჩინოს ქართული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე და განავითაროს ადგილობრივი რძისა და რძის პროდუქტების წარმოება. ხაზი გაესვა, რომ ფრანგული კომპანიის ქართულ ბაზარზე შემოსვლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული რძის პროდუქტების პოპულარიზაციაში და ხელს შეუწყობს ქართული ეკონომიკის განვითარებას.

„ლაქტალის ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტმა მიშელ ნალემ პრემიერ-მინისტრს კომპანიის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ქართული ყველი შეიძენს საერთაშორისო სტანდარტებს და პროდუქცია ქართული სავაჭრო ნიშნით გავა ექსპორტზე.

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ლაქტალისი“ 1933 წელს ანდრე ბენიეს მიერ დაარსდა. დღეს, ოჯახის საკუთრებაში მყოფი „ლაქტალის ჯგუფი“ მრავალი წარმატებული საერთაშორისო ბრენდის მფლობელია, როგორიცაა: „პრეზიდენტი“, „პარმალატი“, „გალბანი“. „ლაქტალის ჯგუფში“ ამჟამად დასაქმებულია 75,000 ადამიანი და მისი 200-ზე მეტი საწარმო მსოფლიოს 43 ქვეყანაშია განლაგებული.

⊙ არა პოპულისტური, არამედ ნაღდი!

## სოციალური პროექტი — „რა გაწუხებთ“ დაიწყო

**პროექტი „რა გაწუხებთ?“ საქართველოს მოსახლეობის სურვილებისა და მოლოდინების, მათი საჭიროებების ზუსტად განსაზღვრისთვის შეიქმნა. ამ ერთობლივი სოციალური ინიციატივის შესახებ ისაუბრეს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და „გლობალური ალიანსის“ პრეზიდენტმა ჟან-ელი მალკინმა.**

როგორც აღნიშნული პროექტის ინიაციატორები აცხადებენ, 25 იანვრიდან კითხვარი, როგორც ინტერნეტით - ვებ-გვერდზე www.1505.ge, ასევე, ჯანდაცვის რეგიონულ ოფისებში ხელმისაწვდომი იქნება. გამოკითხვის შედეგებს დაამუშავებს და შეაჯამებს სოციოლოგიური კვლევის კომპანია.

„ჩვენ არ გვჭირდება რეფორმა რეფორმისთვის. საზოგადოებამ უშუალო და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ პროცესში, რომელიც ეხება გადაწყვეტილებებს ჯანდაცვის სფეროში“, — ასეთია ჯანდაცვის სამინისტროს პოზიცია.

თუმცა, სანამ მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყება, საინტერესოა, რა აწუხებთ ჩვენს თანამემამულეებს ჯანდაცვის კუთხით?

**ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის კოორდინატორი ზაზა ქარჩხაძე ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივას და ზრუნვას ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის დადებითად აფასებს და გამორიცხავს, ეს პოპულისტური ნაბიჯი იყოს.**

მისი თქმით, გააჩნია, კითხვარში რა საკითხებია შესული. შეიძლება, ეს მიმართული იყოს ვირუსებზე, ან C ჰეპატიტზე.

„პირადად ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ვირუსულ ჰეპატიტზე, აივ-შიდსის გავრცელებაზე, ასევე, გვინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ნარკოტიკების მოხმარება დაავადებაა და არა- კრიმინალი. ამ მხრივ სამუშაო ნამდვილად ჩასატარებელია“, — აღნიშნა ზაზა ქარჩხაძემ.

**ნევროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ თოიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სოციოლოგიური კითხვარები პასუხს იძლევიან, რა აწუხებს მოსახლეობას და ეს გამოკითხვაც კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ საკმარისი არ არის და შეიძლება, ხალხის განწყობა ერთ თვეში შეიცვალოს. გააჩნია, ვინ ატარებს ამ კვლევას და გააჩნია პერიოდსაც, დროის რა მონაკვეთში ჩატარდება ესა თუ ის გამოკითხვა — გაზაფხულზე, ზაფხულში თუ ზამთარში. ზამთარში უარყოფითი პასუხები უფრო მეტი იქნება.**

„კვლევა უნდა მოიცავდეს არა მარტო მოსახლეობის გამოკითხვას, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტების აზრსაც და შედარება უნდა გაკეთდეს, რა მოუტანა ასეთმა კვლევებმა სხვა ქვეყნებს. თუ არ შეფასდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაშინ ამას მხოლოდ კეთილი სურვილების სახე ექნება. პირდაპირ გეტყვით, ჩვენს მოსახლეობას ჯერჯერობით ისევ უჭირს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა. ეს არ არის გასაკვირი, ხელმისაწვდომობა ბევრ ქვეყანას უჭირს, ხელმისაწვდომობა ნიშნავს, როცა სრულად არის დაკმაყოფილებული არა პაციენტის სურვილი, რაც მას უნდა, არამედ, რაც ობიექტურად სჭირდება პაციენტს. მაგალითად, არის ბევრი გამოკვლევა, რასაც პაციენტს ვერ უნიშნავ, რადგან არ არის ან სიახლოვეში, იმ არე-მარეში, სოფლის რეგიონში ან მცირე ქალაქების რეგიონში, ან ფასია მაღალი. ცუდ რამეს ვიტყვი, პროფესიონალიც არ არის, რომ პაციენტის მდგომარეობა შეაფასოს იმ დონეზე, როგორც საჭიროა. ამიტომ ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფინანსურ კეთილდღეობას არ ნიშნავს.

მეორე, მოსახლეობას უჭირს ფინანსური ხელმისაწვდომობაც, ძირითადად ლაპარაკია მედიკამენტებზე. ახლა ყველა მედიკამენტი ხელმისაწვდომია, ყველაფერს უნიშნავენ და ბევრსაც უნიშნავენ, მაგრამ ეს არის უსაზღვრო ხელმისაწვდომობა, რადგან პაციენტს მედიკამენტი სჭირდებოდა იმ რაოდენობით და იმ ხანგრძლივობით, რაც ობიექტურად საჭიროა. ამას ემატება მედიკამენტების უსაზღვრო რეკლამა და ჩვენი მოსახლეობის გათვითცნობიერების აკადემიური დონე, ვგულისხმობ მათ ცოდნას, როდის და რაში სჭირდებათ ექიმი“, — აცხადებს ოთარ თოიძე.

ამასთან, ექიმების კვალიფიციურობაზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ მედიკოსის აკადემიურ ცოდნაზე, არამედ — პაციენტებთან ურთიერთობის ხარისხზე, თუ რამდენად მისახვედრად უხსნიან პაციენტებს, რა არის მათთვის საჭირო, აკონტროლებენ თუ არა მათ მიერ მიცემულ დანიშნულებას. ცხადია, ეს შრომატევადი საქმეა, მაგრამ მკურნალობის ლომის წილი სწორედ პაციენტის მართვაზე მოდის, თორემ ერთხელ ნანახი და გაშვებული პაციენტი შედეგს ვერ იძლევა. პაციენტის დაავადება არ არის ერთჯერადი, პაციენტი დაავადებულია რამდენიმე დღით ან თვით ადრე, ხანდახან — წლების განმავლობაშიც. როგორც წესი, ჩვენ ქრონიკული დაავადების მქონე ბევრი ადამიანი გვყავს ქვეყანაში. ამიტომ თვალყურის დევნის სისტემა აუცილებელია, რაშიც ექიმები სცოდავენ.

**მანანა ნოზაძე**

## თამილა ბენიას ორსახოვნება ტერაქტის საქმეში

**2011 წლის 2 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ტერაქტის მოწყობის ბრალდებით დაკავებული თამილა ბენია აფხაზურ მედიასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება იყო წინასწარ დაგეგმილი.**

„2011 წლის ივნისში, თბილისში დედაჩემთან გადავწყვიტე გამგზავრება. გზაში, გალის რაიონის მცხოვრები აბესალომ ჩხეტია შემხვდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არა შემთხვევით. ის მომყვებოდა იმ დრომდე, სანამ მე ძალოვანებმა არ დამაკავეს. სამარშრუტო მიკროავტობუსში, რომლითაც ვმგზავრობდი, სულ რამდენიმე ადამიანი იჯდა. ჩემს უკან მჯდომმა ბიჭმა, მისი შავი პაკეტის დაჭერა მთხოვა. რამდენიმე წუთში მანქანას აჩერებენ და სპეცრაზმი მაკავებს. ის ბიჭი კი, რომელიც სავარაუდოდ სპეცსამსახურების თანამშრომელი იყო, ყველაფერს ტელეფონზე იღებდა“,-აცხადებს ბენია.

თამილა ბენიას თქმით, რასაკვირველია, სპეცსამსახურები მას არ ეძებდნენ, არამედ ვალმერ ბუთბას - აფხაზ ოფიცერს, რომელსაც ის იცნობდა.

„მე ვალმერს კარგად ვიცნობდი. ბევრი კარგი გაუკეთებია ჩემთვის, ბიზნესშიც მეხმარებოდა, არ მქონდა მორალური უფლება მისზე ხელი დაედო . ვალმერს გალის რაიონში პატივს სცემდნენ, ის მამაცი ადამიანი იყო“,-აცხადებს ყოფილი პატიმარი.

აღსანიშნავია, რომ თამილა ბენიას ამ ინტერვიუში მოყვანილი ფაქტები, იმ დროინდელ მისი ჩვენებისგან განსხვავდება.

2011 წელს საქართველოს შსს ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებული თამილა ბენიას აღიარებით ჩვენებას ავრცელებდა.

თამილა ბენია თავად ყვებოდა, თუ ვისი შუამდგომლობით დაუკავშირდა რუსეთის სპეცსამსახურებს და რა სახის დავალება მიიღო მათგან. ადგილი ,სადაც თამილა ბენიას ტერაქტი უნდა განეხორციელებინა, არ კონკრეტდებოდა.

სახელმწიფო პროგრამა

# „აწარმოე საქართველოში“ ბიზნესიდეებს აფინანსებს



**2015 წლის 15 მარტიდან სახელმწიფო პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დაიწყო. პროგრამის მიზანია რეგიონული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და იქ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შესაბამისი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. მიკრო და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამაზე „რეპორტიორს“ მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი ოთარ ანთია ესაუბრა.**

**— რა არის პროგრამის ძირითადი მიზანი?**

— პროგრამის მიზანია საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა ორი მიმართულებით:

1. რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყების ან არსებულის გაფართოება — გადაიარაღების მსურველებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მიწოდება;

2. დაფინანსებული ბიზნესპროექტების მდგრადობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა, ტრენინგ-სემინარებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

პროგრამა მოიცავს მთელ საქართველოს, გარდა თბილისისა. პროგრამის განხორციელების ეფექტიანობიდან გამომდინარე, ადგილობრივ დონეზე ადმინისტრირებას ეწევიან სპეციალური კონკურსის წესით შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ბიზნესიდეების შეფასებას და გამარჯვებული ბენეფიციარებისთვის, როგორც ტრენინგ-სემინარების, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების მიწოდებას.

**— როგორ ხდება დაფინანსებაზე განაცხადის შემოტანა?**

— პირველ ეტაპზე უნდა შეივსოს განაცხადის ფორმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ და ასევე ბიზნესიდეის აღწერას. აღნიშნული განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.qartuli.ge გარდა ამისა, პროცესების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილეებს აქვთ შესაძლებლობა განაცხადის სტატუსს თვალყური ადევნონ დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში. პროგრამის ფარგლებში განაცხადების წარდგენა ხდება ორ რაუნდად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაფინანსების პირველ რაუნდში გამოვლენილი ბიზნესების დაფი-




ნანსება. განაცხადების მიღების მეორე რაუნდი გამოცხადდება 2016 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან და ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება როგორც მედიის, ასევე www.qartuli.ge ვებგვერდის საშუალებით.

**— რა კრიტერიუმების გათვალისწინებით ხდება დაფინანსება?**

— ბიზნესიდეების შერჩევა ხდება კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც სამთავრობო კომისიის მიერ არიან შერჩეულნი. იდეა, რა თქმა უნდა, მოგებაზე ორიენტირებული, რელევანტური უნდა იყოს, რასაც უშუალოდ შეფასების კომისიაში მყოფი ექსპერტები განსაზღვრავენ.

**— აქვს თუ არა მეწარმეს იმის საშუალება, რომ ერთდროულად რამდენიმე ბიზნესიდეა შემოიტანოს?**

— არა, ბიზნესიდეა უნდა იყოს მხოლოდ ერთი. ფოკუსირება უნდა მოხდეს კონკრეტულ ბიზნესზე.

**— არის თუ არა შეზღუდული დაფინანსების სფერო?**

— ეკონომიკური საქმიანობის სფერო ამ თვალსაზრისით შეზღუდული ნამდვილად არ არის.

**— ასაკობრივი შეზღუდვა?**

— ერთდერთი შეზღუდვა ის არის, რომ განმცხადებელი უნდა იყოს სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე.

**— რამდენად დაინტერესდნენ მეწარმეები და რამდენი განაცხადია შემოსული ამ ეტაპზე?**

— პროგრამის მიმართ შეინიშნებოდა საკმაოდ მაღალი ინტერესი საზოგადოების მხრიდან, რასაც მოწმობს შემოსული ბიზნესიდეების რაოდენობა, რომელიც 8000-ს აღწევს.

**— როგორია მინიმალური და მაქსიმალური დაფინანსება?**

— მინიმალური თანხის მოცულობა განსაზღვრული არ არის, ეს მეწარმე სუბიექტის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. მაქსიმალური თანხა ერთ მეწარმეზე განისაზღვრება 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო არაუმეტეს 3 მეწარმე სუბიექტის ჯგუფის შემთხვევაში — 15 000 ლარით.

**— რადგან დაფინანსება მხოლოდ რეგიონებშია, ხვდებით თუ არა შემთხვევებს, როცა მეწარმე თბილისიდან რეგიონში ინაცვლებს?**

— არის რამდენიმე შემთხვევა, ამ პროგრამაში არსობრივი მნიშვნელობა არა აქვს საცხოვრებელ მისამართს, მთავარია ბიზნესი ხორციელდებოდეს რეგიონში და სუბიექტი საქართველოს მოქალაქე იყოს.

**— რა პერიოდში ხორციელდება პროექტი?**

— პროექტის ხანგრძლივობა 26 თვეა.

**— რა თანხა არის გამოყოფილი ბიუჯეტიდან?**

— პროექტის ბიუჯეტი განისაზღვრება 20 000 000 ლარით.

**— რა რეკომენდაციებს მისცემდით დამწყებ მეწარმეებს?**

— დამწებ მეწარმეებს თუ აქვთ რაიმე ტიპის ბიზნესიდეა, რომლის განხორციელება მათ გამოცდილების, ან თანხის არქონის გამო არ შეეძლოთ, დღეს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მეშვეობით, ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, რისკების მინილიზაციის ფონზე მოახდინონ საკუთარი იდეის მატერიალიზაცია.

**სოფო ხუგოიანი**








პროგნოზი დამაიმედებელია

# ზრდა, მართალია, ნელი, მაგრამ, სტაბილური იქნება

**თითოეული ჩვენგანი ახალ წელს, ბუნებრივია, ახალი იმედებით შეხვდა, რომელთა გამართლება, დიდწილად, მთლიანად ქვეყნის წინსვლაზე, გონივრულ საგარეო თუ შიდა პოლიტიკაზე, მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზე იქნება დამოკიდებული, რომლის მიღწევა ეკონომიკური განვითარების დონის აუმაღლებლად, ცხადია, შეუძლებელი იქნება. იქიდან გამომდინარე, რომ წლიდან წლამდე საქართველოს სხვადასხვა სახეობის საგარეო ეკონომიკური კავშირები სულ უფრო ინტენსიური ხდება, იზრდება მისი ინტეგრაციის ხარისხი, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს, მნიშვნელოვნად, გლობალური ეკონომიკური ვითარება განაპირობებს.**

არადა, იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლების მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პიკი გავლილია და ამჟამად სირთულეებს უმთავრესად უფრო მისი შოკური გამოძახილები წარმოშობს ხოლმე, წლევანდელი გლობალური ეკონომიკური პროგნოზი ასე ვთქვათ, „ნაკლებად გამამხნევებელია“. ამის თაობაზე, ჯერ კიდევ დეკემბრის მიწურულს, მსოფლიო საქმიანი წრეების ისეთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა განაცხადა, როგორიცაა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი **ჯიმ ენ კიმი:**

— მსოფლიო ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც სტრუქტურული რეფორმები აქვთ ჩასატარებელი, 2016 იმედის გაცრუების წელი იქნება, — აღნიშნა მსოფლიო ბანკის ერთ-ერთმა გავლენიანმა ფინანსისტმა. ეს იქნება კიდევ ერთი პრობლემური წელიწადი გლობალური ეკონომიკისთვის, თუმცა კი უარყოფითი ზეგავლენა უფრო საგრძნობი განვითარებადი ბაზრებისთვის იქნება, თუმცა ამ ქვეყნებში ნელი ტემპით ზრდა მაინც შესამჩნევი გახდება. კაპიტალის გლობალური ბაზრები მკაფიოდ განასხვავებენ ერთმანეთისგან სტრუქტურული რეფორმების ჩამტარებელ და არაჩამტარებელ ქვეყნებს.

ამასთან, ალსანიშნავია, რომ ბატონმა ჯიმ ენ კიმმა საგანგებოდ აღნიშნა ის გარემოება, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია, ექსპორტიორებმა აქცენტი დამატებული ღირებულების შექმნაზე უნდა გადაიტანონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ **ბაზარს ნედლეული უმთავრესად გადამუშავებული სახით უნდა მიაწოდონ, თავადაც უნდა ჩაერთონ ამ პროცესში და სხვასაც ამის შესაძლებლობა უნდა მისცენ. ეს კი ის გზაა, რომელიც ბევრ ქვეყანას საკუთარი ეკონომიკის ზრდის წყაროების დივერსიფიცირების უაღრესად ხელსაყრელ შესაძლებლობას მისცემს.**

— ნავთობსა და გაზზე ამჟამინდელი დაბალი ფასების გათვალისწინებით, როგორც ჩანს, ახლა უკვე დროა მათ მოპოვებაზე ფულის ხარჯვა შეწყდეს, — ასეთია მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ერთობ მოულოდნელი განცხადება.

იმ აზრს, რომ წელს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპი კვლავ შენელებას განაგრძობს, რის შედეგადაც მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდება, ბევრი სხვა უდიდესი საფინანსო ინსტიტუტის, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებიც გამოთქვამენ.

შედარებით ოპტიმისტურია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს „ფიტჩის“ ექსპერტთა პროგნოზები. მათი აზრით, 2016 წელს, დიდი ქვეყნებიდან მხოლოდ ბრიკსის წევრი ბრაზილიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შემცირდება საკმაოდ მნიშვნელოვნად, რისი მიზეზიც ეკონომიკის რეცესია და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისია. დანარჩენ მოწინავე ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების ტემპი უახლოეს მომავალში მართალია ნელი, მაგრამ მაინც იქნება: 2016-ში ის 2,6, ხოლო 2017-ში — 2,75 პროცენტი უნდა იყოს.

სარეიტინგო სააგენტოს კვლევაში ასევე ისიცაა აღნიშნული, რომ საინვესტიციო ნაკადების შედინების სიმძლავრე განვითარებად ქვეყნებში შემცირდება, ნედლ ნავთობზე ფასების კლებას ამ სფეროში ასევე ინვესტიციების შემცირება მოყვება, ბაზრებზე საქონლის ფასების ვარდნის ტენდენცია კი კვლავაც გაგრძელდება.

ხოლო რაც შეეხება საქართველოს (რომელზეც ფასების კლების მსოფლიო ტენდენცია ვერა და ველარაფრით გავრცელდა!), საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა გათვლებით, **2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 3 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ასევე 3-პროცენტიანი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც, ფონდის სპეციალისტთა აზრით, „ინკლუზიური ზრდის შესაბამისი და საგარეო სტაბილურობის გამაუმჯობესებელი მაჩვენებელია“.**

სახელმწიფო ბიუჯეტის ინდიკატორი მაჩვენებლებით, ეკონომიკური ზრდა 2016 წელს 3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 4,5 პროცენტი, ანუ ისეთი იქნება, როგორიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციებშია მითითებული.

**ოთარ ტურაბელიძე**

# საქართველოს დამღუპველი კანონი ფარატინა ფურცლად უნდა დარჩეს!

## თითო პანღური არ აწყენდათ სოდომის ცოდვის მიმდევართ!..

...**დღეს** ახალი ეგზემა, 21-ე საუკუნის შავი ჭირი მოსდებია მსოფლიოს ლგბტ-პედერასტიის სახით! თუმცა, რატომ შავი? უფრო უპრიანია, ალბათ, ცისფერი ჭირი ვუწოდოთ დასავლეთში შობილ ლგბტ-სექტას, რაც გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია კულტურული ცივილიზაციისთვის, ვიდრე ბოლშევიკური ათეიზმი იყო, რადგანაც ბოლშევიკები მხოლოდ ღმერთის არსებობას უარყოფდნენ, თორემ სამშობლო, ეროვნება, ოჯახი, ზოგადად მორალი და ზნეობა, და ა.შ. სხვა მრავალი, რაზედაც დგას ნებისმიერი საზოგადოება, ბოლშევიკებისთვისაც წმინდათა წმინდა იყო!

ბოლშევიკები იმას მაინც არ ქადაგებდნენ, რომ ბიძაშვილი მოიყვანე ცოლად და თანაც მამრიო...

ლგბტ-სექტის მშობელი ნეოლიბერალური იდეოლოგია, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაბატონდა დასავლეთში, სწორედ იმის უარყოფაზეა დაფუძნებული, რასაც ბოლშევიკებიც კი პატივს სცემდნენ.

იქამდეც კი მივიდნენ, რომ ზოგიერთ ქვეყნებში ახალშობილ ბავშვს დაბადების მოწმობაში რომელი სქესისაა, აღარ უწერენ...

ლგბტ-გარყვნილებაზე ჩვენში და პირიქით, ლგბტ-ზე, როგორც ჩვეულებრივ ნორმაზე საუბრები დასავლეთში, უკრაინასა და სირიაში განვითარებული მოვლენების გამო, თითქოს მინელდა, უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ ეს „თითქოს" მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა...

მოდით, ერთად გავიხსენოთ, როგორ მივიდა დასავლური ცივილიზაცია იქამდე, რომ ერთსქესიანი ქორწინებები ისეთივე ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, როგორიც მზის ამოსვლა-ჩასვლაა...

ყველაფერი ეს გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკაში დაიწყო ე.წ. ჰიპური მოძრაობის სახით, რომელიც თავისუფალ სიყვარულს, ნარკოტიკების ლეგალიზაციას, სექსუალურ აღვირახსნილობას და სხვა ცოდვების დაკანონებას ითხოვდა!

ბოლოს და ბოლოს ასეთი თავისუფლებიდან მივიდნენ ჰომოსექსუალური გარყვნილების ავადმყოფობების სიიდან ამოღების მოთხოვნამდე 1972 წელს!

რასაც, მაშინ ჯერ კიდევ პურიტანული ამერიკის საზოგადოებამ, მარქსიზმ-ლენინიზმისა და ევროპა რუსეთის არ იყოს, წაუყრუა, რამაც შედეგად ის მოიტანა, რომ სულ რაღაც 20 წელიწადში, გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო კომიტეტმა აღასრულა პედერასტების მოთხოვნა და ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა სიიდან ამოიღო, რის შემდეგაც (იმავე ორგანიზაციამ სულ ახლახანს არც მეტი არც ნაკლები, სიყვარული შეიტანა დაავადებათა ნუსხაში! დაიწყო პედერასტების ტრიუმფალური სვლა, არა მხოლოდ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებისთვის მთელს „ცივილიზებულ დასავლეთში", არამედ ევროპა-ამერიკის ხელისუფლებების მაღალი ეშელონებისკენაც!

დასავლეთში დღეს არსებული ნეოლიბერალური ხელისუფლებები, სხვა არაფერია, თუ არა პედერასტების, ან მათდამი ლოიალურად განწყობილთა მმართველობა!

ანუ, უმცირესობა მართავს უმრავლესობას და არა პირიქით, რაც დემოკრატიის ანა-ბანაა — რას იზამ, ასეთია დღეს მათი დემოკრატია და ამიტომ დღეს იქ აღარავის უკვირს ქალაქების მერები, დეპუტატები, მინისტრები, პრეზიდენტებიც კი თუ ლესბოსელ-ჰომოსექსუალები არიან!

ბარაკ ობამამ პირველი ვადით არჩევისას უმალ რაც გააკეთა ის იყო, რომ გააუქმა რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონი, რომელიც აშშ-ის ჯარებში ჰომოსექსუალების მსახურებას კრძალავდა.

ახლა, პენტაგონს ლესბოსელი გენერალიც კი ჰყავს და ხომ წარმოგიდგენიათ რამდენი პედერასტი და ლესბოსელი მსახურობს შედარებით დაბალ დონეებზე?

შემდეგ, მაშინდელმა სახ-მდივანმა და დღეს დემოკრატების საპრეზიდენტო კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი მსოფლიო მაშტაბით ლგბტ უფლებების დაცვა იქნებაო, რაზედაც პრეზიდენტმა ობამამ კვერი დაუკრა — აშშ-ის ფინანსური დახმარება ამა თუ იმ ქვეყანაში ლგბტ უფლებების დაცვის ხარისხზე იქნება დამოკიდებულიო და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო...

რიგაში, ბალტიის ქვეყნების პედერასტთა აღლუმს წინ ამ ქვეყნებში აშშ-ის ელჩები მიუძღოდნენ, რასაც რიგითი ლატვიელები უილაჯო ცრემლებიანი თვალებით უყურებდნენ!

2011 წლის 17 მაისი კი, საქართველოში



პედერასტთა გაჯეჯილების პირველი მცდელობის თარიღია!

ჰაინრიხ ბიოლის ფონდს შეფარებულმა ქართველმა პედერასტებმა, რომელთაც წინ ფარად მიუძღოდა ორი ამერიკელი პედერასტი, რუსთაველის გამზირზე ჩავლა სცადეს, მაგრამ რიგითმა თბილისელებმა, რომელთა შორის მეც გახლდით, ზემელზე შევაჩერეთ სოდომისტთა მარში!

ამ ფაქტმა როგორც სამღვდელოების, ასევე ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ანუ, ქართველებმა ამ სიბინძურეს, ზემოთ ხსენებულ ევროპელ-ამერიკელთა მსგავსად, არ წავუყრუეთ!

შემდეგ, 2012 წლის 17 მაისს, სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაბედა იგივეს გა-

იმავე დღეებში, საქართველოს უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის დაცვის დღედ და მრევლს ამ დღეს ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტაციების გამართვისკენ მოუწოდა და აბა მომავალში რაღას გაბედავდნენ ქართველი პედერასტები, მაგრამ?..

„ქართული ოცნებისა" და ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის „უწმინდესი პატრიარქის", სამების აღმშენებლის ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნით საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ჩვენმა მართლაც უწმინდესმა პატრიარქმა, საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა!

**პატრიარქმა სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის დაცვის დღედ და მრევლს ამ დღეს ქუჩაში მშვიდობიანი მანიფესტაციების გამართვისკენ მოუწოდა და აბა მომავალში რაღას გაბედავდნენ ქართველი პედერასტები, მაგრამ?..**

**„ქართული ოცნებისა" და ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის „უწმინდესი პატრიარქის", სამების აღმშენებლის ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნით საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ჩვენმა მართლაც უწმინდესმა პატრიარქმა, საქართველოს დამღუპველი კანონი უწოდა!**

მეორება, რადგან ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით ისედაც „წყალშეყენებულ" ნაცებს, ლგბტ უფლებების დასაცავად აღარ სცხელოდათ!..

სამაგიეროდ 2013 წლის 17 მაისს იმარჯვეს და დასავლეთში ახალი, „ქართული ოცნების" ხელისუფლების კომპრომენტაციის მიზნით, მწვანე შუქი აუნთეს ნაცებმა მათ მიერ კონტროლირებად პედერასტებს და ათასობით თვით მობილიზებული თბილისელი მოქალაქეების მიუხედავად, კვლავ სცადეს ბინძური გეი-აღლუმის ჩატარება!

მაგრამ ქუჩაში გამოსულმა ქართველმა საზოგადოებამ რუსთაველის პროსპექტის და მთელი საქართველოს წაბილწვის უფლება არ მისცა დასავლეთიდან უხვად ფინანსირებულ სოდომისტებს!

სამაგიეროდ, თბილისში აკრედიტებული დასავლეთის სახელმწიფოთა საელჩოები (რომლებიც წლების მანძილზე ფართოდ დახუჭული თვალებით უმზერდნენ სააკაშვილის სისხლიან-სადისტურ რეჟიმს) მეორე დღესვე გამოვიდნენ პარლამენტის შენობის წინ და „ტაბურეტკიანი მღდვლების" მკაცრად დასჯა მოითხოვეს?!

ეს კანონი ერთგვარი შენელებული ნაღმია და სწორედ ამ, ერთი შეხედვით უწყინარ კანონზე დგას მთელი დასავლური ლგბტ, გნებავთ „დემო(ტ)რაკია"!

პირველ ეტაპზე უწყინარ ტოლერანტობას (ანუ, რა გინდათ, რას გვერჩით, ნუ დაგვჩაგრავთო) ითხოვენ პედერასტები, შემდეგ, უკვე ანტიდისკრიმინაციული კანონით გულმოცემულები, თანასწორობას და მესამე ეტაპზე, პრივილეგიებს?!

სწორედ მესამე ეტაპი გაიარა დასავლეთმა...

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებისას, თუ ამერიკის მხოლოდ 7 შტატში იყო ლეგალიზებული ერთსქესიანი ქორწინებები, შარშანდლიდან მთელი აშშ გაპედერასტდა. რის შემდეგაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი, ამ „სიკეთის" მთელს მსოფლიოში, პირველ რიგში, საკუთარ მოკავშირე ქვეყნებში გავრცელება აღგვითქვა...

ასე რომ, საქართველოს ფიზიკურად ყოფნა მართებს, როგორც აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირეს და სწორედ ეს გახდა წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მოტივაცია!

საქართველოს პედერასტებმა, როგორც ჩანს, გეი-აღლუმების გზაზე უარი თქვეს და ლგბტ უფლებების დაცვის „სამართლებრივ გზას" დაადგნენ:

ქართველი პედერასტების ლიდერმა ირაკლი ვაჭარაძემ, სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონონის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების მოთხოვნით!

ჩემი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელის პროცესს დროში გაჭიმავს, რადგანაც წელს საარჩევნო წელია და ქართული ოცნება ვერ გარისკავს ქართველი საზოგადოების გამწარებას. მაგრამ ჩაივლის არჩევნები და თუ პარლამენტში ისევ ნეოლიბერალები იჭარბებენ, საკონსტიტუციო სასამართლოს, პრეზიდენტის და პარლამენტის (რომლებიც ერთსულ და ერთხორც არიან) გადაწყვეტილება ისეთი იქნება, როგორიც აშშ-ს სურს!

წერილზე მუშაობისას ევრონიუსის მეშვეობით ისიც შევიტყვე, რომ მსგავს საკითხს იტალიის პარლამენტი იხილავს. იტალიის, რომელიც ერთადერთი ქვეყანა ყოფილა დასავლეთ ევროპაში, რომელსაც დღემდე არ ულიარებია ერთსქესიანი ქორწინებები!

ეს პროცესი, ერთის მხრივ, მრავალრიცხოვანი მხარდამჭერი აქციების ფონზე მიმდინარეობს და მეორე მხრივ ვატიკანის სრული დუმილისა... აქედან გამომდინარე, იტალიის პარლამენტის გადაწყვეტილების გამოცნობა ძნელი არ არის:

თუ ისეთ კათოლიკურ ქვეყნებს „მოამტვრიეს რქები", როგორებიც არგენტინა, ბრაზილია, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი და ა.შ. არიან, გნებავთ პროტესტანტული ბრიტანეთი, სადაც თვალსაჩინო მეტრაკეს რაინდის ტიტულს თვით ბრიტანეთის დედოფალი ანიჭებს, ზოგადად პროტესტანტულ ეკლესიებში კი ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერის საიდუმლოს ჰომოსექსუალი მღვდლები ატარებენ, მდუმარე ვატიკანსაც ადვილად მოუვლიან!

მართლმადიდებლური რუსეთის დაშლა იმადაც უნდათ, რომ ლგბტ ცისარტყელას ბაირაღი მსოფლიოს 1/6 ნაწილზე, კრემლის თავზე ააფრიალონ, რადგან რუსეთია ერთადერთი სუპერ-სახელმწიფო, რომლისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია 21-ე საუკუნის ცისფერი ჭირი და ამ კატეგორიულობას ზურგს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უმაგრებს!

თუნდაც მხოლოდ ამის გამო უნდა შევიცვალოთ საგარეო ორიენტაცია და რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე გავხდეთ - რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ სარგებელსა და სოხუმ-ცხინვალის დაბრუნების პერსპექტივაზე!

ახლა მაინც მოვიდეთ გონს, რადგან ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ბრიყვთათვისაც კი ცხადია, რომ ჩვენი ამერიკელი „მეგობრები", მეოთხედი საუკუნეა, დემოკრატიას კი არა თურმე დემო(ტ)რაკიას გვიშენებდნენ...

წერილს საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფის ერეკლე მეორის „მანიფესტით" დავასრულებ:

„ჩვენ ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიად გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგან მარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაბრთხილებთ: ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტევებელისა ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა — დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება — **დ. მ.**) დაიხოცნენ. ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ".



პატარა კახივით სასტიკი ვერ ვიქნებით 21-ე საუკუნეში. ამიტომ „ჯაჯაებითა" არა მაგრამ, თითო პანღური არ აწყენდათ ახურებულ უკანალებში სოდომის ცოდვის პროპაგანდისტებს!

**დავით მხეიძე**



# ნაღვაწი, რომელსაც ყავლი არასოდეს არ გაუვა

## სიტყვა ხუროთმოძღვარ შოთა ყავლაშვილზე

**მართლაც ღვაწლმოსილს, თბილისის დიდ მოამაგეს, ხუროთმოძღვარ შოთა ყავლაშვილს ა.წ. 19 იანვარს შეუსრულდებოდა 90 წელი.**

ვინ იყო შოთა, რა შექმნა, რა შემატა თბილისს? რატომ მოხდა, რომ დღემდე, განვლილ ბოლო 21 წლის მანძილზე ერთხელაც არ იყო ოფიციოზის მიერ, მათ შორის თბილისის მერიის, ტელერადიოს, პრესის მიერ ნახსენები? შოთა ყავლაშვილი, რომელიც ორჯერ იყო თბილისის მთავარი არქიტექტორი, ჯამში ცამეტი წლის მანძილზე... თავდაპირველად სამი წლის განმავლობაში. შვიდი წლის გასვლის შემდეგ, ქვეყანა დარწმუნდა, რომ შოთა ყავლაშვილი თბილისის საუკეთესო მთავარი არქიტექტორი იყო და კვლავ დაინიშნა ამ პოსტზე საპატიო ხელმძღვანელის თანამდებობაზე და ათ წელზე მეტ ხანს ღირსეულად ემსახურა თბილისს.

შეიცვალა დრო. მოხდა გადაფასება რიგი მოვლენებისა, რიგი ღირებულებებისა, თუმცა, როგორც შემდგომში დროის გადასახედიდან გამოჩნდა, უმეტეს შემთხვევაში დროულად და სწორად, მაგრამ რიგ შემთხვევაში სამომავლო ცხოვრების საზიანოდ, ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობისთვის არც თუ სასიკეთოდ, განსაკუთრებით კულტურის იმ სფეროსთვის, რომელსაც გამორჩეული მამულიშვილები, ნამდვილი პროფესიონალები, თავიანთი საქმისადმი თავდადებულნი, ემსახურებოდნენ, რითიც შექმნეს მყარი საფუძველი ეროვნული მსოფლმხედველობის გამოსაფხიზლებლად. ერმა ხომ თავაწეულმა შეაბიჯა ამ ახალ ეპოქაში. შეაბიჯა გააზრებულად თავისი ევროპულობის ძირისა, რომელიც დოზირებულად ინტეგრირებულია „ორიენტალისტური“ კულტურის „სურნელთან“. ეს ხომ სრულად ვლინდება თბილისის რიგი უბნების განაშენიანებაში, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებთან მათ მორიგებაში. ეს კი მნიშვნელოვნად განპირობებულია თბილისის მოამაგეთა, ღირსეულ მამულიშვილთა და მათ შორის შოთა ყავლაშვილის საქმიანობით.

იყო წლები, როდესაც შოთა ყავლაშვილის ღირსეული ნაამაგარის ილუსტრირებით დატვირთული იყო ტელერადიო გადაცემები, ჟურნალ-გაზეთები და ასე შემდეგ. ყოველივე ხომ იყო სიხარულის გამომჟღავნება თბილისში მიმდინარე თბილისური არქიტექტური პროცესების გამო, რომელსაც სათავეში ედგა შოთა ყავლაშვილი. დღესაც ხომ ბევრი მისი და მათ შორის იმათი, ვისაც სწორედ შოთამ გაუკვლია გზა, გაიყვანა ასპარეზზე, მართლაც მნიშვნელოვანი ნაამაგარი ამშვენებს თბილისს, ჩვენს ეროვნულ კულტურას. განა დღეს თავისი არქიტექტურული მნიშვნელობა დაკარგა ბარათაშვილის სახელობის ქუჩამ, ან უზნაძის №2-ში აშენებულმა ქორწინების და საცხოვრებელმა სახლმა, ან ავტოვაგზლის შენობამ, ან საცურაო აუზმა ლაგუნა-ვერემ, ან სასტუმრო „მეტეხი პალასმა“ და ბევრმა სხვა ნაგებობამ, მათ შორის ე.წ. ჩეხურმა სახლმა, რომელსაც მაღალი ხარისხის გამო ასე დაარქვა ხალხმა, თუმცა ეს პროექტი შოთა ყავლაშვილის შექმნილია, ან არაერთმა სპექტაკლის მხატვრობამ, ან არაერთმა საქართველოს საგამოფენო პავილიონმა საზღვარგარეთ. რომელი ერთი მოვიგონოთ. განა არ არის შოთას მოღვაწეობის განსაკუთრებულობის აღიარება არა მარტო ლაურეატობის საპატიო წოდებების, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი „საპატიო თბილისელის“ წოდების მინიჭებით, ყოველივესთან ერთად განსაკუთრებულია მისი ფასდაუდებელი ღვაწლი „ისტორიული თბილისის“ აჟღერების საქმეში.

მე, როგორც მისმა თანამოაზრემ თბილისის მიმართ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა თბილისისადმი. რად ღირს თუნდაც ფაქტი, რომ მან შეძლო დაეძლია პროფესიონალის ხიბლი, გამხდარიყო კიდევ ერთი, თავისი ახალი არქიტექტურული ხედვით შემქმნელი პროექტისა „ახალი ბარათაშვილის ქუჩა“ ახლად გამოვლენილი გარემოების სასარგებლოდ. მოხდა ასე: როცა შოთამ დაიწყო თავისი პროექტით მშენებლობა, მშენებლობის პროცესში გამოჩნდა ისტორიული განაშენიანების კვალი. შოთამ დაინახა მისი ეთნოკულტურული მნიშვნელობა და უარი თქვა თავისი დაწყებული პროექტის განხორციელებაზე. მთლიანად შეცვალა იგი აქ ჩაქცეულ-ჩამარხული ისტორიული მემკვიდრეობის სასარგებლოდ. აქტიურად შეუდგა მისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებების რეანიმაციას, რესტავრაციას, რეკონსტრუქციას და თანამედროვე ცხოვრებისათვის მორგებას. ასეთი რამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ შოთა ყავლაშვილს.

საწყენია, რომ მხოლოდ დღეს, მისი გარდაცვალებიდან 21 წლის შემდეგ უნდა მოვაგონოთ საზოგადოებას, თუ ვინ იყო შოთა ყავლაშვილი და როგორია ჩვენი ვალი მის მიმართ.

**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი,**
არქიტექტორი





## დედაქალაქის ამბები

### მეტროსადგურების რეაბილიტაციისთვის შვიდი მილიონი გამოიყო

**დედაქალაქში** 7 მეტროსადგურის რეაბილიტაცია იგეგმება, ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა. მეტროს სადგურების რეაბილიტაციისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 7 მლნ. ლარი გამოიყოფა.

გათვალისწინებულია მეტროს სადგურის — „ვაგზლის მოედანი-1“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“, „ავლაბარი“, „ვარკეთილი“ და „ახმეტელის თეატრი“ კაპიტალური რეაბილიტაცია.

### კუს ტბის საბაგიროს გახსნა ივლისში იგეგმება

**ეს** ინფორმაცია თბილისის მერიაში გამართულ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ანგარიშის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი. 9 მარტს დასრულდება ტენდერი, რომელიც 175 ახალი ევროპული სტანდარტების ავტობუსის შემოყვანას ითვალისწინებს.

### მერია განათლების ხელშეწყობისთვის ზრუნავს

**თბილისის** მერია 2016 წელს განათლების ხელშეწყობისათვის 2 მლნ. 500 ათასი ლარით მეტს დახარჯავს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა.

„დედაქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია განათლება და 2016 წლის ბიუჯეტში განათლების ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 95,1 მლნ. ლარი, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2 მლნ. 500 ათასი ლარით მეტია“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, 106 800 ლარით გაიზარდა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა.

პროგრამას დაემატება ქალაქ თბილისის მერიის ხელოვნების სკოლებში იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეთა უფასო სწავლება.

### სასწრაფო სამედიცინო დახმარების შუქ-ჩრდილები

**სასწრაფო** სამედიცინო დახმარების ცენტრმა ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ანგარიში წარადგინა. დედაქალაქის მერიაში გამართულ პრეზენტაციას, რომელსაც თბილისის მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი, ქალაქ თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი და 112-ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ბუთხუზი უძღვებოდა.

თბილისის მერის მოადგილის ნინა ხატისკაცის განცხადებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მუშაობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საკითხებს, რაც ჯერ კიდევ გამოწვევებად რჩება. ეს არის დისპეტჩერიზაციისა და ჰოსპიტალიზაციის საკითხები. დღესდღეობით ამ პროცესებში ადამიანური ფაქტორები დიდწილად მონაწილეობს. ასევე, საუბარი იყო ახალი სისტემის დანერგვაზე, იმისათვის რომ ადამიანური ფაქტორი გამოირიცხოს და პირდაპირ პროგრამულად მოხდეს ჰოსპიტალიზაცია, დისპეტჩერიზაციისთვის შემუშავდეს გაიდლაინები. ეს ყველაფერი ის პრობლემები და ის საკითხებია, რომელთა მოგვარებაც დროში შეამცირებს და დაარეგულირებს მომსახურებას.

მერიის ინფორმაციით, 2015 წლის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სამსახურის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები, ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისების, ასევე, გასულ წელს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობის შესახებ.

2015 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ბიუჯეტმა 27 100 000 ლარი შეადგინა. გასული წლის განმავლობაში შესრულდა 623 160 გამოძახება და განხორციელდა 151 716 ჰოსპიტალიზაცია.

ამასთან, შეძენილ იქნა 13 ერთეული სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც დაკომპლექტებული და აღჭურვილია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, დამატებით, ცენტრმა შეიძინა სამედიცინო ჟანგბადის ახალი ბალონები, სამედიცინო აღჭურვილობა — დეფიბრილატორები, კარდიოგრაფები, ასპირატორები, პულსოქსიმეტრები და სხვ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი





# ვასილ ბოლაშვილის „მკვდარი სულები“

## ანუ რატომ აფარებს ხელს, პროკურატურა დამნაშავეს?!

დემოკრატიულ საქართველოში მოქმედებს თუ არა „საბჭოთა სოციალიზმის“ დროინდელი უკანონო შემოსავლების, ანუ „მკვდარი სულების“ ხერხი? ჩვენს მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ ეს მოვლენა ქვეყანაში დღესაც „ცოცხლობს“, არ გადაშენებულა.

### „მკვდარი სულების“ გამოყენების საბჭოური წესი:

**„მკვდარ სულებს“ საბჭოთა საქართველოს ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად (კერძოდ, მშენებლობაში) იყენებდნენ სახელფასო ფონდის სრული ათვისების მიზნით.** ამით ისინი დამატებით იღებდნენ უკანონო შემოსავლებს და ფარული ხელფასით აკმაყოფილებდნენ ამა თუ იმ ობიექტზე მომუშავე მუშებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს და ა.შ. საბოლოოდ კი ახერხებდნენ ხელისუფლებაში მდგომი მაკონტროლებელი ორგანოების პასუხისმგებელი პირების ფარული ფორმით მატერიალურ „სტიმულაციას“. განხორციელებული აფიორის მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტი არ ზარალდებოდა იმიტომ, რომ ხელფასის ფონდი საკმარისად გაბერილი იყო. იმის გამო, რომ სამუშაოს შესრულების ღირებულების დაკანონებული ნორმატივები ძალზე მცირედით ნაზღაურდებოდა, აიძულებდა სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელობას, მიემართა კანონსაწინააღმდეგო ხერხებისთვის, რათა სამუშაო სრულად და დროულად ყოფილიყო შესრულებული. რეალურად „მკვდარ სულებს“ წარმოადგენდნენ იმ დროის ცოცხალი მოქალაქეები, რომლებსაც მათთან შეთანხმებით აფორმებდნენ სახელმწიფო საწარმოში. ამ დროს „მკვდარი სული“ არანაირ სამუშაოს არ ასრულებდა. სახელფასო უწყისზე აწერდა ხელს და იღებდა მისთვის ოფიციალურად განკუთვნილი ხელფასის მცირე ნაწილს (10-20%), ხელფასის დარჩენილი თანხა რჩებოდა ორგანიზაციაში, რომელიც ნაწილდებოდა სახელმწიფო საწარმოსა და მისი საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელ პირებზე. ამგვარ „ნეგატიურ“ მოვლენას ხელისუფლება ვითომ მკაცრად ებრძოდა, სინამდვილეში კი ყველა დონეზე უწევდა მფარველობას.

### „მკვდარი სულების“ გამოყენების თანამედროვე მექანიზმი:

**დღევანდელ საქართველოში არც ერთი მოქმედი ბიზნესმენის და ინდმეწარმის საქმიანობაში „მკვდარი სულების“ გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს, თუ ის კეთილსინდისიერ გადამხდელს მიეკთვნება.** იურიდიული პირი — სამუშაოს დამკვეთი „მკვდარ სულთან“ ურთიერთობას ამყარებს ვირტუალურად, მისი მონაცემების დადგენის ერთ-ერთ რეალურ საშუალებას წარმოადგენს საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზა, რომლით სარგებლობაც, პრაქტიკულად, არანაირი სირთულე არ არის. დამკვეთი „მკვდარ სულს“ აფორმებს სამუშაოზე და ხელფასის უწყისში აღნუსხავს მასზე სახელფასო სრული განაკვეთის გაცემის ფაქტს, შემდეგ შემოსავლების სამსახურში ახორციელებს იმავე ხელფასის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამის დაბეგვრას. ხსენებული მანიპულაციებით „დამკვეთი“ ხელფას იღებს ამგვარი აფიორით, ის ხელოვნურად ზრდის თავის ხარჯს და საბოლოოდ შემოსავლის მიღებისას ამცირებს მოგების ოდენობას, რაც აძლევს საშუალებას, მნიშვნელოვნად შეამციროს დაბეგვრის ოდენობა. სახეზეა კანონსაწინააღმდეგო ეკონომია, რის შედეგად დამკვეთი ფარულად მდიდრდება სახელმწიფო ბიუჯეტი კი ზარალდება.

„მკვდარი სულების“ აფიორა სამართლებრივად წარმოადგენს დანაშაულს, უკანონო შემოსავლის გათეთრების ფაქტს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362 მუხლის (ყალბი დოკუმენტის შექმნა), 194 მუხლის (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) და 182 მუხლის (მითვისება, გაფლანგვა) მიხედვით ისჯება საკმაოდ მკაცრად, თუ ის ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

### მკვდარსულობის ბოლაშვილისეული ინოვაცია:

**ინდმეწარმე ვასილ ბოლაშვილმა „მკვდარი სულის“ აფიორით დამატებით დააზარალა ზესტაფონის რაიონში მცხოვრები აბესაძეების ხუთსულიანი (დედა, ვაჟიშვილი, მისი მეუღლე და მათი მცირეწლოვანი ორი შვილი) ოჯახი, რომელსაც სახელმწიფო ყოველთვიურად შემწეობის სახით უხდიდა 252 ლარს.** ოჯახის მარჩენალი წევრი შოთა აბესაძე 2011-2013 წლებში შემოსავლების სამსახურში ირიცხებოდა ინდმეწარმე ვასილ ბოლაშვილთან გაფორმებულ მუშად, რომელზეც დაბეგრილი ხელფასის სახით იყო გაცემული 12 ათას ლარზე მეტი.

შოთა აბესაძისთვის ეს ცნობილი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონულმა განყოფილებამ მის ოჯახს სამი წლით შეუწყვიტა ხსენებული დახმარება. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 2014 წლის თებერვალში შოთა აბესაძის დედამ მანანა აბესაძემ ზესტაფონის „Liberty banki“ -სგან შემწეობის დახმარების გამოყენების საფუძველზე აიღო ორი ათასი ლარის ფარგლებში კრედიტი. საჯარიმო სანქციების გამოყენების საფუძველზე ბანკმა მანანა აბესაძეს დააკისრა 5,5 ათასი ლარის გადახდა. ამგვარი აფიორით ინდმეწარმემ ვასილ ბოლაშვილმა არა მარტო მიიღო უკანონო შემოსავალი და დააზარალა სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ დააზარალა აბესაძეების ოჯახიც.

ვასილ ბოლაშვილის საკუთრებაშია არა ერთი სასტუმრო (მათ შორის თბილისში მდებარე სასტუმრო „ფიროსმანი“). რესტორანი, მრავალი ათეული ჰექტარი მიწა, მისი დაკვეთით აშენებულია და გასხვისებულია რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (მათ შორის დედაქალაქში, გაგარინის მოედანზე განლაგებული ახალი კორპუსები და ა.შ.).

### როგორ ებრძვის დანაშაულს პროკურატურა?

**ჩვენი სააგენტო ამ ფაქტთან დაკავშირებით შეუდგა ჟურნალისტურ გამოძიებას იმის შემდეგ, როცა წერილობით მოგვმართა შოთა აბესაძის ადვოკატმა ბეგა ფერაძემ. ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებული დოკუმენტური მტკიცებულების საფუძველზე სააგენტომ წერილობით მიმართა თბილისის პროკურატურას.**

პროკურატურამ, იმის სანაცვლოდ, რომ ეხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 და მე-10 მუხლებით, აღეძრა სისხლის სამართლის საქმე და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ქვედანაყოფისათვის, უგულებელყო საპროცესო კოდექსის ხსენებული მუხლები, რაც გამოიხატა იმაში, რომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 362 მუხლის (ყალბი დოკუმენტის შექმნა) მიხედვით, რის შემდეგაც გამოძიება დაავალა თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს ჯერ მე-5 და შემდგომ მე-6 განყოფილებას, რომლებმაც უკვე რამდენიმე თვეა, ვერ შეძლეს შოთა აბესაძის დაზარალებულად გამოცხადება. ეს იმიტომ, რომ თითქოს ვერ შესძლეს, ინდმეწარმე ვასილ ბოლაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებათა მოპოვება. ჩვენი სააგენტო იძულებული გახდა, მიემართა ქვეყნის მთავარი პროკურატურისათვის (ი.შოთაძე), რომელმაც იმავენაირად გვიპასუხა, როგორც თბილისის პროკურატურამ. შედეგად კი აბესაძეების ოჯახი და სახელმწიფო ბიუჯეტი დღემდე ზარალობენ ვასილ ბოლაშვილის აფიორული მოქმედებით, მან ხომ უკანონოდ მიითვისა დიდი ოდენობის თანხა.

ამის მიუხედავად, ჩვენი სააგენტო აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას და იმედს არ კარგავს, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს. იმ შემთხვევაში თუ ჩვენი გამოძიების დასკვნა სამართლებრივად უსაფუძვლოა, ან უფრო მეტიც „შეთითხნილია“, მზად ვართ, კანონის წინაშე ვაგოთ პასუხი. სხვა შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ, როგორც ინდმეწარმე ვასილ ბოლაშვილმა, ასევე მისმა ფაქტობრივმა მფარველებმა — პროკურატურამ და გამოძიებამ.

**თენგიზ ჩხიკვაძე, ვადიმ დგებუაძე,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“**

---

**სასამართლო რეფორმა ჭრიჭინებს...**

## მე სხვა პოზიცია მაქვს, მაგრამ უკან ვიხევ...

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მზად არის სასამართლო სისტემის რეფორმირების ფარგლებში, უარი თქვას თავისივე ერთ-ერთი ინიციატივის განხორციელებაზე, რომელიც მოსამართლეებისთვის, მათი დანიშვნის შემდეგ, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესებას გულისხმობს. „დიახ, მე ვიხევ უკან, რადგან თქვენ. ვენეციის კომისია და ევროპარლამენტი ერთ აზრზე ხართ,“ — მიმართა სასტუმრო „რედისონში“ შეკრებილ მოსამართლეებს თეა წულუკიანმა.**

**„ვენეციის კომისიას, თქვენ, ევროპარლამენტს გაქვთ ერთი პოზიცია, მე მაქვს სხვა პოზიცია, ეს ეხება გამოსაცდელი პერიოდის გაუქმებას. მე არ მომწონს გაუქმდეს პრობაცია მათთვის, ვინც 10 წელი იყო მოსამართლე და ავტომატურად გადაინიშნონ ხელახლა მოსამართლეებად. მაგრამ ჩემი ეს პოზიცია არ მოგწონთ თქვენ, ვენეციის კომისიას და სულ ახლახანს ევროპარლამენტმა თქვა, რომ არ არის სწორი. გამოდის, რომ ევროსტრუქტურები და თქვენ ხართ ერთ პოზიციაზე, შესაბამისად, მე ვიხევ უკან ამ ერთ ნაწილში, ვუჯერებ ევროპარლამენტს, ვენეციის კომისიას, მაგრამ სხვა ნაწილებში რეფორმა უნდა განხორციელდეს“, — განაცხადა წულუკიანმა და დასძინა, რომ პრობაცია მათთვის, ვინც 10 წელი იმსახურა გაუქმდება.**

## იქნებ იკადროს გვენეტაძემ ამგვარ ღონისძიებებზე დასწრება



**იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უკმაყოფილება გამოთქვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამართულ კონფერენციაზე, საბჭოს ხელმძღვანელის, ნინო გვენეტაძის დაუსწრებლობასთან დაკავშირებით.**

**წულუკიანმა აღნიშნა, რომ გვენეტაძემ მომავალში უნდა გაითვალისწინოს ასეთ კონფერენციაზე დასწრება და ასეთი ტიპის შეხვედრები უკეთესად უნდა იყოს ორგანიზებული.**

**„მართლაც კარგია, როდესაც ჩვენ ვართ მოწვეული. მოვედით და არ გვხდება საბჭოს ხელმძღვანელი. იქნებ მომავალში, ეს მასაც ეკუთვნის, უკეთესად დავაორგანიზოთ ასეთი ტიპის შეხვედრები, რადგან ჩვენ ერთად, მასთან ერთად, რომელიც მხარს უჭერს რეფორმას და ის ვიცი, რომ იგი უჭერს მხარს რეფორმას, ამ გზაზე ვიაროთ ერთად. თუკი ამ რეფორმას მხარს არ უჭერთ.. და ამას დღეს მოვისმენთ, ჩვენ მაინც გავაგრძელებთ“, — განაცხადა თეა წულუკიანმა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამართული კონფერენცია „სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმდინარე გამოწვევები „რედისონ ბლუ ივერიაში“.**

## თუ ზემოქმედება არ ყოფილა, მაშინ უმეტესობა დასაჭერია...

**პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ მოსამართლეებს მოუწოდა, აღიარონ ზემოქმედების ფაქტები ყოფილი ხელისუფლების პირობებში, რასაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონფერენციაზე დაპირისპირება მოჰყვა.**

**„თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, ვთქვათ სად იყო პრობლემა — იყო ზემოქმედება, დაშინებები, ზეგავლენის მოხდენა პროკურორების მხრიდან და თავის დროზე რომელ საქმებეეზე იყო? ვაღიაროთ და გაპატიებთ. ყველამ ერთად მოვიხადოთ ბოდიში საზოგადოების წინაშე“, — მიმართა კობახიძემ მოსამართლეებს, რომელთა მხრიდანაც გაისმა რეპლიკები: „რას გვაპატიებთ? რა უნდა ვაღიაროთ“? მოსამართლეები აცხადებენ, რომ წინა ხელისუფლების დროს, არანაირ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.**

ХО-ЭОВ-ЭНО, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ



აქაც... სკანდალი

## ახვლედიანის სკანდალური დოკუმენტი

**თბილისის** საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო სკანდალური დოკუმენტაცია, რომელიც მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებზე არსებულ დარღვევებს ასახავს.

მამუკა ახლვლედიანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ერთ-ერთმა კონკურსანტმა წინაწარ იცოდა იმ ტესტირების პასუხები, რომელიც მას უნდა გაევლო, არასამთავრობოები ვარაუდობენ, რომ ეს მხოლოდ ერთ კონკურსანტს არ ეხება და მათი რიცხვი შესაძლოა გაცილებით დიდი იყო.



არსამთავრობოების განცხადებით, აუცილებლია ამ საკითხზე რეაგირება მოახდინოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და მან გამოიკვლიოს ვინ გაიტანა კონკრეტული დოკუმენტაცია. და ამის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუკი გამოიკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, გამოძიება უნდა დაიწყოს.

## წულუკიანი შეშფოთებულია და რეაგირებისთვის ემზადება

**იუსტიციის** მინისტრის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებული განცხადება მოსამართლეების საგამოცდო ტესტების წინასწარ გამჟღავნებასთან დაკავშირებით, საგანგაშოა. თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მამუკა ახვლედიანის განცხადებას პირადად გაეცნობა და თუ ამგვარი საგანგაშო რამ იქნა, რეაგირება მოჰყვება.

## „ჩაწყობილი ტესტების“ საქმეს მურუსიძის საბჭო იკვლევს

**იუსტიციის** უმაღლესი საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის განცხადებით, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ტესტების წინასწარ გამჟღავნების საკითხზე საბჭო მოკვლევას აწარმოებს.

ამასთან, მურუსიძე ფიქრობს, რომ ამ ინფორმაციის ვადაზე ადრე გამჟღავნება არასწორია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თქმით, თემაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო კარგა ხანია, მუშაობს და მოკვლევას პირადად აწარმოებს, არა მარტო ტესტების წინასწარი გამჟღავნების თემაზე, ასევე სხვა შესაძლო კორუფციულ ფაქტებზეც.

„მინდოდა, როცა დასრულდებოდა მოკვლევა შემდეგ მოფენოდა ყველაფერს ნათელი. ეტყობა ამით ვიღაც ცდილობს, რომ თავდაცვის რეჟიმში ჩადგეს. გარკვეული საკითხები, რომელზეც საბჭო მუშაობს, შეიძლება გარკვეულ პირებს შეეხოთ. ამიტომ, ვიღაც თავდაცვით ჯავშანს იკეთებს, რომ რეალურად ვითომ ვიღაც არის გარკვეულ საკითხებზე მებრძოლი“, — განაცხადა მურუსიძემ.

შეგახსენებთ, რომ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა არასამთავრობო ორგანიზაციებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო ტესტურ გამოცდაზე ტესტებისა და წერითი კაზუსების წინასწარ გამჟღავნების ფაქტებზე ინფორმაცია ზედმეტი ოპერატიულობით მიაწოდა.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი



## ყინულოვანი პერიოდის პარკი

**კანადელი მეცნიერები გადაშენებულ ცხოველთა აღდგენას ცდილობენ. ამის ერთ-ერთი პირველი კანდიდატები არიან ტასმანიაში საუკუნის წინათ განადგურებული ჩანთოსანი მგელი, იბერიული ჯიხვი, რომლის ბოლო ეგზემპლარი 2000 წელს მოკლეს, ზღვის ძროხა, რომელიც „დამშეულმა მეზღვაურებმა“ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მოსპეს.**

ამ რიგის ცხოველთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი მაინც ბალნიანი მამონტია, რომელიც ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტრამალებში ბინადრობდა. ამ ცხოველთა ჯუჯა ნაირსახეობის ბოლო პოპულაცია დაახლოებით 4,5 ათასი წლის წინათ გადაშენდა.

ჯუჯა მამონტების ქსოვილები კარგადაა შემორჩენილი ციმბირის მუდმივი გამყინვარების ზონაში. გენეტიკოსები აპირებენ ბალნიანი მამონტის უჯრედიდან ბირთვის გამოყოფას და აზიური სპილოს ბირთვგამოცლილ უჯრედში მის შეყვანას, რომელსაც სუროგატული დედის როლი დაეკისრება. მაკმასტერის უნივერსიტეტის ძველი დნკ-ს შესწავლის ცენტრის მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ აღორძინებული მამონტების დასახელება კანადისა და ციმბირის ტუნდრაში იქნებოდა შესაძლებელი.

## კბილის ჯაგრისის შესანახი ადგილი

**ამერიკელი მკვლევარების განცხადებით კბილის ჯაგრისების შენახვა შეთავსებულ სანიტარულ კვანძებში არაფრით არ შეიძლება, რადგან მათზე, შესაძლოა, ფეკალიების ნარჩენები იყოს შემორჩენილი.**

მათ მიზნათ დაისახეს, გამოეკვლიათ, თუ როგორ ვრცელდებიან ჰაერში ფეკალიებში მობინადრე კალიფორმული ბაქტერიები და რამდენად ილექებიან ისინი სხვადასხვა საგნებზე. გამოკვლევა ჩატარდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების კომუნალურ სანიტარიულ კვანძებში. გაირკვა, რომ ამ ბაქტერიების კვალი კბილის ჯაგრისების 60 პროცენტ შემოწმებულ კბილის ჯაგრისზე აღმოჩნდა, თანაც 80 შემთხვევაში ერთი კაცის ჯაგრისზე სხვა პირის ფეკალური ბაქტერიების კვალი იყო ნაპოვნი.

მკვლევარები გვაფრთხილებენ, რომ კუჭში მოხვედრილი ეს მიკროორგანიზმები დიარეას იწვევენ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ კბილის ჯარისების ყუთის ხმარებას აზრი არა აქვს, რადგან ის საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს — ნესტიან და სინათლისგან დაცულ გარემოში ბაქტერიები უფრო სწრაფად მრავლდებიან.

## მონარქების გზა

**ყოველწლიურად მილიონობით დანაიდა მონარქის სახეობის პეპელა გამოსაზამთრებლად, გადამფრენი ფრინველების მსგავსად, კანადიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან მექსიკაში მიემართება.**

სამი ათასი კილომეტრის სიგრძის გზის დაძლევაში ამ ულამაზეს მწერებს სინათლისა და მაგნიტური „კომპასები“ ეხმარებათ. პირველები ულვაშებში არიან განთავსებულნი და მზეზე ორიენტაციაში ეხმარებიან, მეორენი კი მაშინ ირთვებიან, როცა მზის სინათლე არასაკმარისადაა.

მექსიკამდე ჩაღწეული მონარქები ხეების ტოტებზე სხდებიან და იმდენი არიან, რომ ისინი მათი სიმძიმით მიწამდე იზნიქებიან!

გამოზამთრებული პეპლები გაზაფხულზე უკანა გზას ადგებიან, რომლის დაძლევისას მონარქების სამი-ოთხი თაობა იცვლება.

## ყველაფერი გემოვნების საქმეა

**სილამაზე მხოლოდ მაყურებლის თვალშია, დაკვირვებათა შედეგად ეს დასკვნა გამოიტანეს ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ჰოსპიტალის მეცნიერებმა. გარშემო მყოფთა მიმზიდველობა პირად გამოცდილებაზეა დამოკიდებული, რომელიც თითოეული ადამიანისთვის უნიკალურია, აცხადებენ მკვლევარები.**

უწინ ითვლებოდა, რომ ადამიანებს სიმეტრიული სახეების ცქერა ურჩევნიათ, რადგან სწორედ ისინი მიაჩნიათ ლამაზებად. მაგრამ, გამოკვლევის ავტორებმა დაადგინეს, რომ ესთეტიკური შეხედულებები, შესაძლოა, ერთკვერცხა ტყუპებსაც კი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ჰქონდათ. სამნახევარი ათასი მოხალისის ესთეტიკურ პრიორიტეტთა ანალიზის შედეგად მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მიმზიდველ და არამიმზიდველ ადამიანთა დაყოფის კრიტერიუმები ყველას უნიკალური აქვს. თითოეული კატეგორიისადმი ამა თუ იმ პირის მიკუთვნება მხოლოდ საკუთარი გამოცდილებითაა განპირობებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გარემო, რომელშიც კონკრეტული ადამიანი იზრდებოდა და მისი კულტურული თავისებურებანი, მის მიერ სილამაზის ცნებაზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს. გაცილებით მნიშვნელოვანია საკუთარი უნიკალური გამოცდილება: ურთიერთობები მეგობრებთან ან კოლეგებთან, პირველი მეგობრის სახე და სხვა.

## ასთმის საფრთხე რომ აირიდოთ

**დიდი ქალაქების ქუჩებში დილაობით სირბილი ასთმის განვითარებას პროვოცირებს.**

ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზების ჩასუნთქვა ფილტვებს აღიზიანებს, რაც ბრონქებისა და ფილტვების დაავადებების რისკს ზრდის. ექიმები გვირჩევენ, რომ ვირბინოთ ან საღამოს საათებში, როცა ჰაერის დაბინძურება იკლებს, ანდა დახურულ დარბაზებში ვივარჯიშოთ.



ნოვა კრედიტი NOVA CREDIT

№02.02.2016 ვ[3]-1 02 თებერვალი 2016 წ.

**შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცშა „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა.**

**ქ-ნ ეკატერინე ჟიჟიაშვილი (მსესხებელი, ამასთანავე უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე, მცხოვრები: თბილისი, ზარზმის ქ. №21. ბ. 38)**

**მოგესალმებით ქ-ნო ეკატერინე**

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა“ და ქ-ნ ეკატერინე ჟიჟიაშვილის შორის 2015 წლის **16 აპრილს** გაფორმებული, ნომერი: ***041504539*** საკრედიტო ხელშეკრულების და 2015 წლის **16 აპრილს** გაფორმებული ნომერი: 150366150 იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: ***041504539*** -ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 16 სექტემბრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში.

თანახმად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (193.37 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანების (624.89 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული ძირითადი თანხა (383.84 აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტის (116.68 აშშ დოლარი), ძირითადი თანხა (8,350.86 აშშ დოლარი) (სულ: 9,836.66 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

**მიკროსაფინანსო ორგანიზაცია**
**შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი**
**მელორი ასათიანი**

ტელ: 2 15 15 15
2016 წლის 2 თებერვალი

№20. ოთხშაბათი, 3 თებერვალი, 2016 წელი.

**გერმანელი პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი, გერმანული და საერთაშორისო, მათ შორის, ბიუხნერის პრემიების ლაურეატი, ზონინგის დანიური პრემიის ლაურეატი ევროპულ ცივილიზაციაში შეტანილი წვლილისათვის. არის ლექსების, არაერთი ესეის, პიესების ბევრი კრებულის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს რომანი „ანარქიის მოკლე ზაფხული“, პოემები, სხვა წიგნები. გთავაზობთ ენცენსბერგერის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ესეის. ამ ჟანრს, ალბათ, სამართლიანად უწოდებენ აფორიზმის უფროს ძმას, და როგორც სუყოველი აფორიზმი, ესეიც მკითხველს ყოველთვის „ნახევარ ანდა ერთნახევარ სიმართლეს“ სთავაზობს. ამასთანავე, სასაუბროდ იწვევს და ფიქრისთვის განაწყობს.**



# თვით ევროპელები – ევროკავშირის თაობაზე!...

## ერთ-ერთი ევროკომისიელისა და იმ მავანი ბრიუსელელის საუბარი, რომელი ბრიუსელელიც დაეჭვებულია ევროკავშირისა და დასავლური დემოკრატიის მომავალში

**ევროკომისიელი.** თქვენ, როგორც გავიგე, განსაკუთრებული მოწყალების თვალით არ უყურებთ ჩვენს უწყებას.

**ბრიუსელელი.** მადლობას მოგახსენებთ, რომ გამონახეთ დრო ჩემთან საუბრისთვის. ვიცი, თქვენ ძალიან მოუცლელი ადამიანი ბრძანდებით.

**ევრ. კ.** დიახ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, გავიგო თქვენი აზრი. გირჩევთ, აუცილებლად გასინჯოთ ტოსკანური მოთუშული ხბოს ხორცი, მას აქ შესანიშნავად ამზადებენ. სხვათა შორის, მითხრეს, რომ თქვენ ევროკავშირს ქიმერას ადარებთ. კარგად არ მესმის, როგორ მიხვედით ასეთ დასკვნამდე. თუ არ ვცდები, ძველ საბერძნეთში ქიმერას ცეცხლისმფრქვევ ურჩხულს უწოდებდნენ, რომელსაც მისი გამანადგურებელი თავდასხმების სასჯელად ყელში გამდნარ ტყვიას ასხამდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასეა ნათქვამი „ილიადაში“. მაგრამ დაინახო აქ რაღაც პარალელები ევროკავშირთან, მე, მსუბუქად რომ ვთქვა, უცნაურად მეჩვენება.

**ბრ.** თქვენ, როგორც ვატყობ, შესანიშნავად ერკვევით ანტიკურ მითოლოგიაში. ასეთ შემეცნებებს ბერლემონის (შენობა ბრიუსელის ცენტრში, რომელშიც იმართება ევროკომისიის სხდომები) დერეფნებში არ ველოდი.

**ევრ. კ.** ჩემ დროს ყოველივე ამას სკოლაში სწავლობდნენ.

**ბრ.** მე კი, უფრო მეტად, მხედველობაში მქონდა, რომ ქიმერა – ესაა ჰიბრიდი: წინაა ლომი, უკან გველი, შუაში კი – თხის ტანი. ექიმები და გენეტიკოსები ფართოდ იყენებენ ამ ტერმინს. თუმცა ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არ ყოფილა. მე სპეციალურად გადავათვალიერე თქვენი ფრანგი კლასიკოსები, ვინაიდან წინასწარ ვგრძნობდი, რომ ჩემი შედარება თქვენ ვერ დაგარწმუნებთ. კორნელიუსთან, მაგალითად, გვხვდება გამონათქვამი: „bzillantes chimezes“ , რუსოსთან – „tendzes chimezes“. ამ დროს საკითხი შეეხება ათასნაირ ლამაზ ფანტაზიას. გერმანულში ეს სიტყვა ასევე აუცილებლად არ ასახავს ურჩხულს, უფრო ესაა ოცნება ან შესანიშნავი უტოპია, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აქ ყველაზე ხშირად იგულისხმება რაღაც განუხორციელებელი და ავანტიურული, რაღაც მირაჟი ანდა ბოდვითი სიცრუეც კი. მაგრამ ეს უკვე გაცილებით ახლოა საქმესთან. ხოლო რაც შეეხება თქვენი ლიკიური ქიმერის ვულკანურ ხასიათს, მე ყოველთვის განსაკუთრებით ვუსვამ ხოლმე ხაზს ევროკავშირის რბილ და არაძალადობრივ დამოკიდებულებას თავისი სამეურვეებისადმი. თუ ამ მიწებზე ოდესღაც გიზგიზებდა ხანძრების ალი, ის დრო დიდი ხანია წავიდა და მახლობლად ხახადაღებული კრატერებიდან მოდის მხოლოდ სიცივე და სინესტე. ესენი ხომ ჩვეულებრივი სამშენებლო ქვაბულებია ახალი ადმინისტრაციული შენობებისთვის.

**ევრ. კ.** იმის აშკარა დადასტურებაა ის, რომ ჩვენ გზის სათავეში ვიმყოფებით. ევროკავშირი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. სამოცი წელი ისტორიის თვალსაზრისით – არაფერია, და ის, რასაც თქვენ ასე განიცდით, დაე, თუნდაც ზოგჯერ იყოს გამართლებული – უბრალოდ ახალგაზრდობის შეცდომებია, ან, თუ გინდათ, მოზარდი პერიოდის სირთულეები.

**ბრ.** ანდა განვითარებადი ათეროსკლეროზის ნიშნები.

**ევრ. კ.** თქვენ ჩვენ მიმართ არ ბრძანდებით სამართლიანი. ყველაფერში ყოველთვის ბრიუსელია დამნაშავე. იქნებ, თქვენ უბრალოდ, რაღაც ალერგია გაქვთ ინსტანციებზე?

**ბრ.** არ გამოვრიცხავ. თუმცა ამ ავადმყოფური რეაქციისაგან განკურნებას, გულახდილად რომ გითხრათ, არ ვაპირებ.



**ევრ. კ.** მაშინ რატომ მხოლოდ ევროკავშირს ესხმით თავს? რატომ დუმხართ, მაგალითად, რომზე, ბუდაპეშტზე ან დუბლინზე? ეს ეროვნული მთავრობები არაფრით უკეთესები არ არიან! ბიუროკრატია იქაც საუცხოოდ ყვავის! გონებაშეზღუდულობა და საკანცელარიო აბდაუბდობაც თავზე საყრელია. მე უკვე აღარაფერს ვამბობ ინტრიგებსა და კორუფციაზე, ყოველ ნაბიჯზე რომ გადაეყრები ხოლმე. ლობისტები კი, ისინი ხომ, თქვენის ნებართვით, როგორც ნაკელის ბუზები, ფუსფუსებენ თითქმის ყველგან, თქვენთანაც, სხვათა შორის, ქვეყანაში. შეხედეთ მეტი ყურადღებით თქვენს საგადასახადო სისტემას, ამ ახირებულ რეფორმებს ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში. და ყველაფერში, რაშიც თქვენ ჩვენ გვდებთ ბრალს, იოლად აღმოაჩენთ იმ ოცდაშვიდ ეროვნულ ასლებში, რომლებიც ჩვენი კონტინენტის არსენალშია.

**ბრ.** მაგრამ ისინი, ვინც ჩვენ გვმართავს, უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენ თვითონ ავირჩიეთ, და თუ უარს არ ვიტყვით ჩვენს კონსტიტუციებზე, ყოველთვის შეგვიძლია განვთავისუფლდეთ კიდეც მათგან. იმ უწყებასთან დაკავშირებით კი, სადაც თქვენ მსახურობთ, საქმე სხვაგვარადაა.

**ევრ. კ.** მესმის, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ: იგივე გაცვეთილი არგუმენტი – „დემოკრატიის დეფიციტი“, „თანდაყოლილი ნაკლოვანება“... რას იტყვით ამაზე: სამწუხაროა, რასაკვირველია, ჩამოშორდე დემოკრატიას. მაგრამ ის ავსტრიელი ხომ, რომლის ციტირებასაც თქვენ ხშირად ახდენთ...

**ბრ.** მას რობერტ მენასე (დაიბ. 1954 წ. – ავსტრიელი მწერალი, წიგნის –„ევროპული მაცნე. სამოქალაქო მრისხანება და ევროპული მშვიდობა, ანუ ნაჩუქარი დემოკრატიის ადგილზე რატომ უნდა მოვიდეს დაპყრობის დემოკრატია“ – ავტორი) ჰქვია...

**ევრ. კ.** მას არ შეეშინდა გულღიად ეთქვა, რომ დრო ახალ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. თქვენ კი არაფრით გინდათ ამის აღიარება. ყველა სხვადასხვა ავტორიტეტულ სახელებს ებღაუჭება – ეტიენ ლა-ბოეტიდან (ჰანა არენდტამდე?! ეტიენ ლა-ბოეტიდან (1530-1563 – ფრანგი ფილოსოფოსია, ავტორი პოლიტიკური ტრაქტატისა „მსჯელობა ნებაყოფლობითს მონობაზე“) ჰანა არენდტამდე (1906-1975 – გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი, ტოტალიტარიზმის თეორიის ფუძემდებელი). ჟან მონემი კი ხომ ერთ-ერთი ჩვენი მამადამფუძნებელია, ვის შესახებაც თქვენ საკმაოდ თანაგრძნობით საუბრობთ, უკვე დიდი ხანია იწინასწარმეტყველა კლასიკური დემოკრატიის გარდაუვალი ჭკნობა...

**ბრ.** და თავადაც ამას დიდად შეუწყო ხელი...

**ევრ. კ.** ის უბრალოდ არ მალავდა იმას, რასაც ისედაც ყველა ხვდებოდა, მაგრამ ის იყო წინდახედული ადამიანი და აფიშირებას არ უკეთებდა საჯაროდ თავის შეხედულებებს. ფართო წრეებში მისი იდეები, რასაკვირველია, დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა.

**ბრ.** მე თქვენი ქიმერის თაყვანისმცემლებში ჩაწერას არ ვაპირებ. კარგა ხანია, ვცოცხლობ და საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რა არის დიქტატურა და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მე ერთადერთი როდი ვარ. როდესაც დგებოდა დემოკრატიის საკითხი, ყოველთვის თავში მიტრიალებდა ცნობილი გამოთქმა: „ვინც არ იბრძვის, უკვე წააგო“.

**ევრ. კ.** დიახ, იყო, მახსოვს, ასეთი ლოზუნგები, მაგრამ დამეთანხმეთ, განსაკუთრებული პროტესტების შესახებ ჯერჯერობით არაფერი ისმის. უკმაყოფილების შორეული გუგუნი ჩემ კაბინეტამდეც მოდის, მაგრამ ამის გამო ევროკავშირი არ დაინგრევა.

**ბრ.** „ვიქონიოთ უკეთესის იმედი, ვინაიდან უარესი თითქოს აღარც არის“, როგორც ამას მიუნჰენელი ცნობილი ბრძენი კარლ ვალენტინი (1882-1948) – „გერმანელი ჩაპლინი“, ცნობილი კომიკოსი, კაბარეს მსახიობი, კინორეჟისორი, მწერალი ამბობდა. ევროკავშირი აშკარად ირღვევა.

**ევრ. კ.** არ შეგედავებით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დროა, ხმამაღლა ვიყვიროთ ევროპის მზის ჩასვენებაზე. დავუტოვოთ ეს ჟურნალისტებსა და სპეკულანტებს. ეს მათ ხელეწიფებათ – პირველებს, რომ ამრავლონ ტირაჟები, მეორეებს – ფსონები ბირჟებზე.

**ბრ.** გეთანხმებით. აპოკალიფსისი დღემდე ყოველთვის ღალატობდა თავის წინასწარმეტყველებს.

**ევრ. კ.** და რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ მთელი თქვენი კრიტიკიდან – დამსახურებული თუ არა – სხვა საკითხია?

**ბრ.** ჩემი წინადადებანი თქვენ ძნელად რომ გჭირდებოდეთ. თქვენს განკარგულებაშია ექსპერტებისა და მრჩეველთა მთელი არმია, მე კი ჩემ თავს არც ერთ მათგანს არ მივაკუთვნებ.

**ევრ. კ.** თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამგვარ შეხვედრებზე დავდივარ მხოლოდ კმაყოფილებისთვის? მე ხომ

იმას ვაკეთებ, რომ ჩემი თანამესაუბრეებიდან ამოვქაჩო ყოველგვარი გონივრული რჩევები. ასე რომ, გთხოვთ გამიწიოთ დახმარება და გამიზიაროთ თქვენი მოსაზრებანი! კონკრეტულად რას მთავაზობთ?

**ბრ.** თქვენ მე კედელთან მაყენებთ! მაგრამ, ნება მიბოძეთ, შეკითხვაზე შეკითხვითვე გიპასუხოთ: რატომაა, რომ ევროკავშირის ქომაგებისთვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა – წინ, გარღვევაზე, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს? ვინა თქვა, რომ უწყვეტი ზრდა ბუნების უდავო კანონია? განა ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთებულა, ასე შეუქცევადია?

**ევრ. კ.** რა გინდათ, ამით რომ თქვათ?

**ბრ.** გ. კლაუზევიცი (1780-1871) – პრუსი გენერალი, სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, 1812 წელს მსახურობდა რუსეთის არმიაში და მონაწილეობდა ბოროდინოს ბრძოლაში, მეტად ჭკვიანი სამხედრო სტრატეგი, უკანდახევას აფასებდა, როგორც ყველაზე რთულს ყველა საბრძოლო ოპერაციიდან. მაგრამ, როდესაც ჩიხში აღმოჩნდები და იმასაც არ ცდილობ, რომ უკან დაიხიო, ხომ არ სწირავ საკუთარ თავს აშკარა დაღუპვისთვის?

**ევრ. კ.** თქვენ, როგორც მე მესმის, იძლევით რეკომენდაციას, გადავიდეთ მკაცრ ზომებზე, ამპუტაციაზე, ასე ვთქვათ, დაზიანებული კიდურებისა?

**ბრ.** დასაწყისისთვის შევთავაზებდით დიეტას. თქვენი ჯანმრთელობის დაცვის კომისრებს უყვართ ევროპელების დაყვედრება იმისთვის, რომ ისინი მუდმივად სუქდებიან – რომ ამას, თითქოს, უნდა ვებრძოლოთ ყველაზე გადამჭრელი ზომებით. რა იქნება, თუ ევროკავშირი თავის თავსაც გამოუწერს მსგავს გამაჯანსაღებელ ზომებს? საზოგადოებრივ სტრუქტურებსაც აქვთ მიდრეკილება გასუქებისაკენ. და თუ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ, ისინიც მალე წავლენ სიგანეში. თქვენი ორგანიზაციაც რომ გამხდარიყო, ცუდი არ იქნებოდა. მაგრამ ამისთვის, როგორც თქვენც ხვდებით, საჭირო იქნება გმირული ძალისხმევა. ზედმეტი ფუნტების დაყრა კი ჯერ იოლად არავის შესძლებია. აქ კი – ეს კოლოსალური აპარატია! სპეციალური სოციალური შეღავათები სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის! საშტატო ერთეულების მუდმივი ზრდა! მაგრამ, როდესაც ზრდას თვითმიზნად აქცევთ, ხომ არ აყენებთ საფრთხის ქვეშ თქვენივე საკუთარ პროექტს?

**ევრ. კ.** უკვე ხომ არ ფიქრობთ, რომ დროა ევროკავშირმა თავად დაითხოვოს საკუთარი თავი?

**ბრ.** განა თქვენ ვერ ამჩნევთ, როგორი წინდახედული ვარ მე ქიმერებთან დაკავშირებით, რა ცოტა იმედს ვამყარებ ყოველგვარ რადიკალურ გადაწყვეტილებებზე? ჩემი წინადადება მეტად თავმდაბლური მოგეჩვენებათ, მაგრამ გირჩევდით დაბრუნებოდით იმ იდეებს, რომლებსაც ათეულობით წლების წინათ აყენებდნენ: სხვადასხვა სიჩქარის ევროპა“, „ცვალებადი კონფიგურაციის ევრობა“, „ეტაპობრივი ინეტგრაცია“, „ევროპა ა-ლია კარტ“.

**ევრ. კ.** მაგრამ თქვენ ჩემზე უკეთესად იცით, რომ ეს ყოველივე დიდი ხანია, ხორციელდება პრაქტიკაში. აიღეთ, მაგალითად, შენგენის კონვენცია ანდა შეთანხმება ევროზონის შესახებ. ეს შეთანხმებანი სწორედ იმ მოდელებს ემყარება.

**ბრ.** მაგრამ ჰარდლაინერებისთვის ეს საკმარისი როდია, კბილების ღრჭიალით ურიგდებიან ისინი ასეთ სანახევრო ზომებს. მათ ხომ წარმოუდგენიათ, რომ ჩიხიდან შეიძლება გამოხვიდე, თუ კედელს შუბლს ურტყამ. მაგრამ ასე თავს გაისისხლიანებ.

**ევრ. კ.** ჩემი აზრით, თქვენ ამაოდ ახდენთ საქმის დრამატიზირებას.

**ბრ.** თქვენ ყური დაუგდეთ, თუ რას ლაპარაკობენ ამის შესახებ ევროპაში, და თქვენთვის ცხადი გახდება, რომ ზომები მომავალი სახიფათო სკლეროზის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა მიიღო.

**ევრ. კ.** ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, რატომ ასე პესიმისტურად?

**ბრ.** სულაც არა! უფრო მეტად, პირიქითაც კი! მე, უბრალოდ, მთლიანად ვენდობი რეალურ ევროპას, რომელსაც ევროკავშირი, ვაი რომ, სულ უფრო და უფრო ემიჯნება. რაც შეეხება რეალურ ევროპას – მე აქ არა მაქვს საბაბი გაწბილებისათვის.

**ევრ. კ.** რეალური ევროპა? ეს რაღაა? ვერ გამიგია, რა გინდათ, ამით რომ თქვათ.

**ბრ.** განა თქვენთვის არ არის ცნობილი სხვა მსგავსი გამიჯვნა, რასაც, თუმცა, უნებლიეთ, ჩვენც იძულებული გავხდით შევრიგებოდით? მხედველობაში მაქვს რეალური ეკონომიკა და მისი ქიმერული ორეული – საფინანსო ბაზრები. სწორედ ეს ხდება ამჟამად ევროპულ პოლიტიკაშიც. ერთი მხრივ – ევროპული გაერთიანების მოქალაქეთა სიცოცხლის სივრცე, მეორე მხრივ – მისგან საიმედოდ იზოლირებულ ხელმძღვანელ უწყებათა ბიოტოპი. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ ეს სულაც არაა ერთი და იგივე?

**ევრ. კ.** არ შეიძლება, ოდნავ უფრო კონკრეტულად?

**ბრ.** ნება მიბოძეთ. აი ეს პატარა შავი ბლოკნოტი, რომელიც მუდამ მიდევს ჯიბეში. ჩვეულებრივი უბის წიგნაკი. მაგრამ ამ ჩვეულებრივი ნივთის შინაარსით, რაც ყველა სახლშია, ადვილად შეგიძლია იმსჯელო ევროპული ინტეგრაციის ჭეშმარიტ დონეზე. ბევრი, რასაკვირველია, უკვე აღარ იყენებს ამგვარ წიგნაკებს. ისინი შეცვალეს მობილურმა ტელეფონებმა, რომლებიც ახლა ლამის ყველას აქვს. მაგრამ, ასე თუ ისე, ერთს ყოველთვის აქვს ნაცნობი პოლონელი მებათქაშის ნომერი იმ შემთხვევისთვის, თუ სასტუმროში რემონტი დასჭირდება, მეორესთან უწყინარი „ა“ ასოს ქვეშ დამალულია საიდუმლო შეყვარებულის, ალისა ც.-ს ტელეფონი ამსტერდამიდან, მესამეს ნებისმიერ მომენტში შეეძლება დაუკავშირდეს პატარა სასტუმროს მეპატრონეს სადღაც დანიის სანაპიროზე. რას არ გადააწყდები ამ წიგნაკებში, მიმობნეული რომაა მთელ ევროპაში: ყოფილი ქმრები, ზაფხულის ქოხები, უცხოელი პარტნიორები, შვილიშვილები, საბანკო ანგარიშები, რეპეტიტორები და კერძო მოსწავლეები, ინტერნეტ-საიტები, ნუმიზმატი კოლექციონერები, მეღვინეები, დამლაგებლები, ავტომექანიკოსები, კბილის ექიმები, მეშაბაშეები, რომლებიც პირველსავე ზარზე...

> **კაპიტალიზმის ყველაზე მთავარი რესურსი ადამიანის სისულელეა. ხოლო ადამიანის სისულელის ყველაზე მთავარი პროდუქტი კაპიტალიზმია... რატომ არის, რომ თავისუფალი ბაზარი ერთდროულად უფრო გონიერთაც გვხდის და უფრო მეტად გვასულელებს კიდეც?... ამიტომაც მიიჩნევენ, რომ კაპიტალიზმი თვითონ ადამიანის ბუნების მიერ არის შობილი.**
>
> **გეორგ ზესლენი**
> **გერმანელი პუბლიცისტი**

**ევრ. კ.** გეყოფათ! ნუღარ გააგრძელებთ! მივხვდი, რისი თქმაც გინდათ. მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ ევროკავშირის გარეშე ეს არაფერი არ იქნებოდა.

**ბრ.** დიახ, ამ პროცესმა, უდავოა, დააჩქარა და შეამსუბუქა იგი. მაგრამ რაც შეეხება ევროპის ინტეგრაციას, ჩვენ უკვე დიდი ხანია, აღარ გვჭირდება არანაირი ადმინისტრაციული ინსტიტუტები. სოციალური ქსელები ჩვენ გვაკავშირებენ ნებისმიერ შეთანხმებებზე უფრო მყარად, რაზეც ასე თავგამოდებით შრომობთ თქვენ აქ, ბრიუსელში. მილიონობით ძაფები ქმნიან ისეთ მყარ ურთიერთდამოკიდებულებას, რომ იგი უკვე აღარ ემორჩილება ჩვენს კონტროლს, და თქვენ აღარ შეგიძლიათ მათი არც გამყარება, არც გაწყვეტა.

**ევრ. კ.** ამის გაკეთებას არც არავინ აპირებს?

**ბრ.** ადმინისტრაციულ ინსტიტუტებს, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ ევროპის უნიფიცირება და ჩვენი ცხოვრებისეული სივრცის კოლონიზირება, უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სარგებელი. მეტად გულმოდგინედ ცდილობენ ისინი ცხოვრების ნორმალიზებას. ერთიანობა კარგია, მრავალფეროვნება კი უკეთესი. გთხოვთ, დაგვიცვათ თქვენი მეურვეობისაგან და არავისთვის არასაჭირო დირექტივებისაგან.

**ევრ. კ.** მესმის. ეს თქვენი პირადი აზრია?

**ბრ.** სულაც არა. ნება მიბოძეთ, დასადასტურებლად მოვიყვანო ერთი საავტორო მოწმობა...

**ევრ. კ.** გთხოვთ!

**ბრ.** ოდო მარკვარდი, უკიდურესად ნიჭიერი გერმანელი ფილოსოფოსი, მიიჩნევს, რომ, თუ აქამდე მუდმივად ცდილობდნენ შეეცვალათ მსოფლიო, ახლა საქმე შეეხება იმას, რომ იგი დავინდოთ.

**ევრ. კ.** მარქსიზმის კლასიკოსები, როგორც მახსოვს, სხვა რამეს გვასწავლიდნენ.

**ბრ.** არ გედავებით! ერთხელ თქვენ დიდი მოთმინება გამოიჩინეთ, როდესაც ჩემს ტირადებს უსმენდით...

**ევრ. კ.** ჩემს პროფესიაში მოთმინების გარეშე ვერაფერს გახდები.

**ბრ.** მაგრამ ერთ რამეში, მაინც, იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ რომ შევთანხმდეთ?

**ევრ. კ.** მაინც რაში?

**ბრ.** მართალია, თუ ბრიუსელი ითვლება ევროპის ცენტრად, ევროპა – ეს მარტო ბრიუსელი როდია.

**ევრ. კ.** ვის ეუბნებით ამას?! მომავალ კვირას, როგორც იქნა, სახლში მივემგზავრები, ჩემს მშობლიურ მიყრუებულ ადგილას, სადაც დავიბადე და გავიზარდე და იქ მელოდება ის რეალური ევროპა, რომელსაც ასეთი იმედით უმზერთ. და იცით, რა ხალხია ეს? შუბლმაგარი, ჯიუტები, ყველა უკლებლივ.

**ბრ.** თქვენ?

**ევრ. კ.** მეც მათგან არ განვსხვავდები. რას იტყოდით ხორცზე ტოსკანურად?

**ბრ.** გმადლობთ, მუსიე. გასაოცარი კერძია.

**ჟურნალი „ინოსტრანნაია ლიტერატურა“**
**2015 წ. №10.**

## ◎ ინფორმაცია

# რუსეთი 2008 წლის ომის გამოძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს

**რუსეთის ფედერაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამოძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან რომის სტატუტის რატიფიცირება არ მოუხდენია. ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ , ავრცელებს.**

**„2016 წლის პირველი თებერვლის მონაცემებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი რატიფიცირებული არ არის“, – წერს „ინტერფაქსი“ რუსეთის იუსტიციის სამინისტროს პრესცენტრიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. სააგენტოს ცნობით, რუსეთმა რომის სტატუტს ხელი 2000 წელს მოაწერა, მაგრამ მისი რატიფიცირება არ მოუხდენია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მიმდინარე წლის 27 იანვარს ჰააგის პროკურორს 2008 წელს მომხდარი ომის შესაძლო დანაშაულების გამოძიების ნება მისცა. გამოძიება დაინტერესდება 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრის პერიოდით. ცნობისთვის, საქართველო რომის სტატუტს 2003 წელს მიუერთდა.**

# ჰააგის ტრიბუნალს აქვს ბერკეტი, რუსეთის მოქალაქეებზე დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები

**ჰააგის ტრიბუნალი რუსეთს გამოძიებაში ჩართვას ვერ აიძულებს, თუმცა მას შეუძლია, ამა თუ იმ პიროვნების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურები წამოიწყოს, – ასე გამოეხმაურა ექსპერტი მამუკა არეშიძე რუსეთის იუსტიციის სამინისტროს პოზიციას, რომ კრემლი აგვისტოს ომის გამოძიების პროცესში ჰააგის სასამართლოსთან არ ითანამშრომლებს.**

**რიგორც არეშიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რუსეთს აქვს ხელმოსაჭიდი ის, რომ მას თავის დროზე არ აქვს ხელი მოწერილი იმ დოკუმენტისთვის, რომელიც დაავალდებულებდა, ხელი შეუწყოს ჰააგის ტრიბუნალის მიერ წამოწყებულ გამოძიებას. მაგრამ ჰააგის ტრიბუნალს აქვს მეორე ბერკეტი. კერძოდ, მას შეუძლია რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები. თუნდაც იმ ადამიანებზე, ვინც ამ ომის წარმოებაში მიიღო მონაწილეობა და მათი მხრიდან რაიმე დანაშაული იკვეთება. ეს შეიძლება იყოს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, სამხედრო ხელმძღვანელობა, სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელობა – ასე რომ, ბერკეტები არის.**

**რაც შეეხება კონკრეტულად იმას, თუ რას გულისხმობს კონკრეტული პირების მიმართ სამართლებრივი პროცედურების დაწყებას, როგორც ექსპერტი განმარტავს, ჰააგის გადაწყვეტილების შემთხვევაში, მოსკოვში არავის დააპატიმრებენ, თუმცა მათ მაქსიმალურად შეეზღუდებათ გადაადგილება, პოლიტიკური აქტივობა, ბიზნესაქტივობა და ა.შ. მთელ ამ საქმეს აქვს მორალური მხარე – მთელი მსოფლიოსთვის ეს ადამიანი იქნება დამნაშავე. კაცი, რომელმაც აწარმოა ომი არაადამიანური მეთოდით, რომელმაც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება სამხედრო თვალსაზრისით, ეთნოწმენდა ჩაატარა და ა.შ. – განაცხადა მამუკა არეშიძემ.**

# რუს და ქართველ დიპლომატებს შორის ურთიერთობა უნდა დათბეს, მაგრამ...



**ექსპერტ მამუკა არეშიძის ინფორმაციით, რუსეთმა ევროპაში თავის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლობებს მითითება მისცა, რომ ქართველ დიპლომატებთან ურთიერთობები დაათბონ, თუმცა მისივე თქმით, ქართველი დიპლომატები მსგავსი ტიპის კონტაქტებზე არ მიდიან.**

**„როგორც ჩანს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს მითითება მისცა, რომ მაქსიმალურად დაათბონ ურთიერთობა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ჩემი აზრით, რუსეთი ცდილობს ამ მეთოდით ერთგვარი განწყობა შეუქმნას სხვებს, რომ მათ ქართველებთან საერთო ენა გამონახეს და სხვების ჩარევა ურთიერთობაში საჭირო აღარ არის. ეს სწორი მეთოდია რუსეთის მხრიდან სათავისოდ, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა ეს გაშიფრეს და მაინცდამაინც ასეთი ტიპის კონტაქტებზე არ მიდიან“, – განაცხადა მამუკა არეშიძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

ჭიდაობა

# პარიზული „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“



**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე 23-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზარ ბედინეიშვილის ხელმძღვანელობით ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა შეგირდები გამოსაცდელად პარიზის საერთაშორისო ტურნირზე წაიყვანა.** ახალგაზრდა ქართველმა ფალავნებმა უფროსებთან პაექრობაში 5 მედალი დაიმსახურეს და გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ შოთა ფარტენაძე (61), გიორგი ბრეგაძე (65) და ავთანდილ კენჭაძე (70), ხოლო მესამე ადგილებზე ლევან მურცხვალაძე (57) და გიორგი რევაზიშვილი (61) გავიდნენ.

ფარტენაძემ ჯერ შვეიცარიელი ანდრიან ვოკი დაამარცხა – 10:0, მერე მაკედონიელ ადილ ადილს აჯობა – 12:2, მაგრამ ფინალი ირანელ მსოფლიოს ჩემპიონ ჰასან რაჰიმთან წააგო – 1:5. საგულისხმოა, რომ ირანელმა ნახევარფინალში გიორგი რევაზიშვილს სძლია. ამ უკანასკნელმა მესამე ადგილისთვის პაექრობაში მსოფლიოს ჩემპიონის თანამემამულე მოჯდან სადეგიკოუკანდე დაჯაბნა – 15:6.

კენჭაძემ სტარტზე თანაგუნდელ არჩილ გიგაურს მოუგო – 10:0, მერე ასეთივე ანგარიშით მასპინძელ ჯონ ბურისაც სძლია და გადამწყვეტ პაექრობაში ირანელ საედ მოჰამადის დაუპირისპირდა. გონგამდე წუთით ადრე ქართველი მოჭიდავე წინ იყო 7:5, მაგრამ ბოლო წუთზე საედმა ჩვენებურს ოთხი ქულა აართვა და 9:7 გაიმარჯვა.

ბრეგაძემ ზედიზედ სამი ფრანგი ჩამოიცილა გზიდან: რიკ ფიკეტი (11:8), ვალენტინ საფრატელო (2:0) და იური სიემაკინი (10:8), ფინალში კი მონგოლ ლამგარმა ნარმანდახთან 8:19 წააგო და მეორე ადგილს დაყაბულდა.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ავთანდილ კენჭაძე.**

ფარიკაობა

# სტაბილურობა კლასის ნიშანია



**საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრებმა ევროპის გუნდური თასის გათამაშების ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა. მოხმალავეთა შეჯიბრებას, რომელშიც 7 ქვეყნის 8 გუნდი მონაწილეობდა, იტალიის პადოვამ უმასპინძლა.**

სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, ნიკა შენგელია – ასეთი იყო საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომლის მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძეა. აპინინებზე იმყოფებოდა ფარიკაობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო არბიტრი ზაზა მჭედლიძეც.

**ქართველმა მოფარიკავეებმა ჯგუფში სამივე შეხვედრა მოიგეს:** იტალიის I ნაკრებს 45:39 აჯობეს, საფრანგეთს – 45:34, ისრაელს კი – 45:23. მეოთხედფინალში მერაბ ბაზაძის გაწვრთნილი გუნდი კვლავ ებრაელ სპორტსმენებს დაუპირისპირდა – 45:24, ნახევარფინალში ისევ მასპინძელთა პირველ გუნდს შეხვდა – 41:45, მესამე ადგილისთვის კი ქართველებმა იტალიის II ნაკრები დაამარცხეს – 45:28.

პადოვაში მოგებული ბრინჯაოს მედალი ქართველი მოფარიკავეების მეორე წლევანდელი წარმატებაა. 9 იანვარს თურქეთის ქალაქ სტამბოლში სანდრო ბაზაძემ მსოფლიო თასის ეტაპი მოიგო, ბექა ბაზაძე და მიხეილ მარდალეიშვილი კი მესამე ადგილზე გავიდნენ.

**კობა კობახიძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

# დასახული მიზნების მისაღწევად შემდეგ ოთხ წელიწადში ბევრი უნდა ვიშრომოთ

**საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტულმა რედაქციამ ახალი სეზონის წინ ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ მილტონ ჰეიგს.**

### პირველ ნაბიჯს შაბათს გერმანიასთან გადავდგამთ

მომავალ მსოფლიო თასზე ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, 2023 წლის მსოფლიო თასზე ავტომატურად გასვლა და თამაშის ხარისხის გაუმჯობესება იქნება. 2019 წელს აგრეთვე გვსურს ვცადოთ მეოთხედფინალში გასვლა – ეს საუკეთესო შედეგი იქნება. დასახული მიზნების მისაღწევად შემდეგ ოთხ წელიწადში ბევრი უნდა ვიშრომოთ. პირველ ნაბიჯს შაბათს გერმანიასთან ევროპის ერთა თასის სტარტზე გადავდგამთ. ეს მსოფლიო თასის შემდეგ ჩვენი პირველი თამაში იქნება, შესაბამისად, ყველას გვინდა კარგი თამაშის ხარისხი ვაჩვენოთ.

რა გასაკვირია, რომ ჩვენ გამარჯვება გვსურს – გვინდა ამ ტურნირზე მოგებების სერია განვაგრძოთ. მართალია, მას ჩვენთვის საკვალიფიკაციო ხასიათი აღარ აქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც გვსურს მისი მოგება. ამასთან, ვეცდებით, რომ სანახაობრივი რაგბი ვითამაშოთ და ეს შესაძლებლობა განვითარებისთვის გამოვიყენოთ.

რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ყოველწლიურად რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბეს გამოვცდით, რომლებსაც ექნებათ 2019 წლის მსოფლიო თასზე მოხვედრის შანსი. ახალი სახეების გამოჩენა ბუნებრივი პროცესია და ყოველ წელიწადს ვიხილავთ უფრო მეტ ახალგაზრდა მორაგბეს – მათ უკვე სანაკრებო ასაკი უწევთ. ისინი დღესვე მზად არიან, რომ მაღალ დონეზე ითამაშონ. წელსაც რამდენიმე ახალი მოთამაშე გვეყოლება, რომლებსაც ჯერ კიდევ უწევთ 20-წლამდელთა ნაკრებში თამაში. ჩვენ ვფიქრობთ,



რომ მათ დიდი მომავალი აქვთ და ზუსტად ახლაა სწორი დრო, რომ ისინი ეროვნულ გუნდში ჩავრთოთ.

### ნოემბერში – „მარიფილდზე“

წელს ნოემბერში შოტლანდიას „მარიფილდზე“ ვესტუმრებით. ჩვენ ისტორიაში პირველად ვითამაშებთ ამ სტადიონზე მასპინძელთა წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდი მატჩი იქნება. გარდა ამისა, ნოემბერში გვექნება კიდევ ორი მაღალი დონის ტესტ-მატჩიც, ხოლო მეტოქეთა ვინაობა უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.

### ტესტები – თბილისის თასის ნაცვლად

2016 და 2017 წლების ივნისში ჩვენ ვგეგმავთ ძლიერ გუნდებთან თამაშს. შესაბამისად, აღარ იარსებებს თბილისის თასი და საქართველო გაემგზავრება ოკეანეთში, სადაც კუნძულელებს დავუპირისპირდებით. საკმაოდ რთული მატჩები გველის, თუმცა, ივნისის ტესტები არის ერთადერთი ფანჯარა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ უფრო მაღალი დონის მატჩების სათამაშოდ.

### ლევან მაისაშვილი – მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

ჩვენ ძალიან გაგვიმართლა, რომ სამწვრთნელო შტაბში ლევან მაისაშვილი გვყავს. მაისაშვილი საქართველოში ბოლო წლების ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი. მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, იგი ყოველთვის ძალიან კარგ გუნდს აყალიბებდა. უკანა ხაზის მწვრთნელი მაიქლ ბრედლი კვლავ ჩვენს გუნდშია. აგრეთვე სამწვრთნელო შტაბშია 20-წლამდელთა მთავარი მწრთნელი ილია მაისურაძე – მას საკმაოდ რთული წელიწადი ელის. ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ „ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბში შედის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი.

### შეთანხმება „ტულონთან“

ჩვენ მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი შეკრების დროს შევუთანხმდით ფრანგულ „ტულონს“, რომ ამ პერიოდში იქ სათამაშოდ მამუკა გორგოძეს, ლევან ჩილაჩავასა და კოტე მიქაუტაძეს საკლუბო მატჩებზე არ გამოიძახებდნენ, სანაცვლოდ კი შევპირდით, რომ მათ რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ სამ მატჩზე არ მოვიწვევდით.

**ბადრი იაშვილი**

ფეხბურთი

# „გალათასარაის“ უეფას ტურნირებზე თამაში აეკრძალება

**სტამბოლის „გალათასარაის“, შესაძლოა, მომდევნო წლიდან ევროთასებზე თამაში აეკრძალოს. როგორც უეფას ვებგვერდი იუწყება, თურქული კლუბი მიმდინარე სეზონში ფინანსური ფეარ-პლეის პრინციპების დარღვევაშია ეჭვმიტანილი და სწორედ ამის გამო ემუქრება სასჯელი.**

აღსანიშნავია, რომ იგივე საშიშროების წინაშე კიდევ სამი კლუბი დგას – ლისაბონის „სპორტინგი“, ინგლისის „ჰალ სიტი“ და ათენის „პანათინაიკოსი“.

ცოტა ხნის წინთ უეფამ იგივე სასჯელი კიდევ ექვს გუნდს – ბაქოს „ინტერს“, „დნიპროს“, „ტირგუ მურეშს“, „ბრაგას“, „ასტერასსა“ და „ბოტოშანს“ გამოუტანა, რომელთაც უეფას ტურნირებში მონაწილეობა მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში ეკრძალებათ.



**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# ლამაზმანი, ვითარცა გლდანის შაურმა

**პერუელი მოდელი და იქაური საფეხბურთო ნაკრების თილისმა ტილსა ლოსანო ის ქალია, რომლის დანახვისას მთელი ლათინური ამერიკა ვნებიანად გმინავს და კულუარული ინფორმაციით ვიცით, რომ ამ ოხვრის ხმა საქართველომდეც აღწევს. ის კი არადა, სოფელ შიბლიანში უთქვამთ, გააჩერეთ ეს ტიალი ლოსანო, თორემ ღამე ველარ დაგვიძინია ოკენისგაღმური გმინვითაო.**



მაგრამ ყოველმხრივი შემკულობაც ამქვეყნად, ალბათ, არ არსებობს, რადგან პერუში ამბობენ, რომ ტილსა ლოსანო გლდანის შაურმასავით ქალია. თავიდან გინდა, გენატრება, ერთი სული გაქვს როდის შეახრამუნებ, მაგრამ შეჭამ და რა ხეირი? მხოლოდ უკმარისობისა და შეცდომის გრძნობა გრჩება და განიცდი...

ავი ხმები ამბობენ, ტილსა ლოსანოს ფული ისე უყვარს, დოლარის კუპიურა რომ მისცე, თბილისელი ტაქსისტივით ხურდას ცოცხალი თავით არ დაგიბრუნებსო. ასევე იმასაც ამბობენ, ლოსანო ცივი ქალია და მასთან ცეცხლოვანი სექსი ვინც მოინდომა, ხელში არაფერი შერჩაო. არადა ეს ოხერი – შეხედავ და თრთი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

რაგბი

# „ვითას“ მე-18 მარცხი და კურტინაიტისის რეკორდი




**თბილისის „ვითამ“ ვთბ-ლიგაში ზედიზედ მე-18 მატჩი წააგო. ქართული კლუბი ახალ სპორტის სასახლეში რუსულ „ხიმკის“ დაუხვდა და ევროლიგაში მოთამაშე მეტოქესთან 52:108 (15:32, 11:25, 9:29, 17:22) დამარცხდა.**

მასპინძელთა მხრიდან 10-ქულიან ზღვარს 3 კალათბურთელი გადასცდა: ვლადისლავ სტარატელევი (14), ანდრე ჯონსი (13) და ომარ თომასი (11), სტუმრებს კი ჯოშ ბუნმა (25), მარკო ტოდოროვიჩმა (21) და ეგორ ვიალცევმა (20) ულიდერეს.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ოლქელთა თავკაც რიმას კურტინაიტისისთვის თბილისური მატჩი გამორჩეული გამოდგა. ლიტველმა სპეციალისტმა ვთბ ლიგაში მე-100 გამარჯვება სწორედ „ვითასთან“ იზეიმა და ტურნირის რეკორდიც დაამყარა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

### სულიერება

# კრება ვათოპედის ღვთისმშობლის ხატისა — „ნუგეშინისმცემელი“

**3 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ვათოპედის მონასტერში, წმინდა ათონის მთის ერთ-ერთ უძველეს, ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში მყოფ „მანუგეშებელი“, ანუ „ნუგეშინისმცემელი“ ხატის დღესასწაულს.**

ცნობილია, რომ ეს ტაძარი ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დროსაა აგებული.

სწორედ ამ მონასტრის ეზოს სიახლოვეს 395 წელს თეოდოსი დიდის ვაჟი, უფლისწული არკადი გემბანიდან ზღვაში გადავარდა. დიდი ძებნის შემდეგ ის იპოვეს ბუჩქის ძირას (ვათოპედი — ბერძნულად ყმაწვილის ბუჩქს ნიშნავს).

უფლისწულმა ყველას უამბო, თუ როგორ იხსნა იგი ღვთისმშობელმა სასწაულებრივად.



სწორედ იმ ბუჩქის ადგილას აღიმართა ტაძრის საკურთხევლის ნაწილი.

ზემოთ ხსენებულ მონასტერზე 807 წელს ყაჩაღთა ბანდას განზრახული ჰქონდა მონასტერზე თავდასხმა, მონასტრის წინამძღვარს ხატიდან ხმა მოესმა, რომელმაც მონასტრის კარიბჭის გაღება აუკრძალა. ამ წუთებში ხატი სასწაულებრივად შეიცვალა, თითქოს გაცოცხლდა, ყრმამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხელი ააფარა ბაგეზე, მაგრამ ქალწულმა მარიამმა პირი იბრუნა და გაფრთხილება გაიმეორა. შეძრწუნებულმა ილუმენმა ძმებს მოუხმო და ყველამ იხილა, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება ყრმა უფლის ხელს არიდებდა სახეს.

დღევანდელ დღეს მივმართავთ დედა ღვთისმშობელს: „დააცხრენ ვნებანი მრავალცოდვილისა სულისა ჩემისანი, რომელმანცა პირისაგან ქუეყანისა ყოველნი მწუხარებანი აღხოცენ, რომელ კაცთა ვნებათა აოტებ და ცოდვილთა ჭმუნვასა განუქარვებ, რამეთუ შენ ხარ ყოველთა ტვირთმძიმეთა სიმტკიცეი და სასოებაი, ყოვლადწმიდაო დედა და ქალწულო“.

**გიული ლიპარტია**

### ეტიუდი

# ჩემი ბიზნესი ქეიფია...

**გულბათი ისეთი კაცია, ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ყურებს მაინც არ ჩამოყრის. პირიქით, ამხელა გამოცდილების პატრონს, გაზეთ „ექსპორტ-იმპორტში“, რომლის მეპატრონეც თავად არის, რაიმე უხერხულობა რომ არ გაიპაროს, ყურები ერთთავად დაცქვეტილი აქვს.**

აი ახლაც რომელიღაც წერილის სათაური თვალში არ მოსვლია და ლიბერასტ ავტორთან ხელჩართული ომობს.

— არ მომწონს, ნამეტანი ხმაურიანი სათაურია, შეცვალე! — პრინციპულად მოითხოვს გულბათი.

— შენ არ მოგწონს, მე მომწონს, — თავისაზე დგას ლიბერასტი, — კომუნისტების დრო ხომ არ არის, შენ დაკრულზე ვიარო, ყველამ საკუთარი თავით უნდა იაზროვნოს.

— დამიჯერე რასაც გეუბნები, მე შენი მტერი ხომ არა ვარ. წადი, დაფიქრდი და მერე დავილაპარაკოთ...

— რომ დავფიქრდი იმიტომ დავარქვი ეგ სათაური, არაფრის შემცვლელი აღარა ვარ.

— კარგით, ერთი, — ვამშვიდებ მოკამათეთ, — რაღაც ამბავი უნდა მოგიყვეთ.

— რა ამბავი? — ყურები ცქვიტა გულბათმა.

— დღეს სამსახურში რომ მოვდიოდი, ავტობუსში ორი მოხუცი სამთავრობო პოლიტიკაზე დავობდა. რომ ვერ მორიგდნენ, ბოლოს ერთმა ჰკითხა მეორეს: შენ რა, მოგწონს ეს მთავრობა?

— მთავრობა არა, მათი ხელფასები და პრემია-დანამატები მომწონს.

— კარგად უთქვამს, — გაიხარა გულბათმა, — აი ჩვენ კი, ჟურნალისტები, ასეთ ნიუანსებს რატომღაც ვერ ვიჭერთ.

— როგორ გეკადრებათ, — შევედავე, — მთავრობის უნამუსო პრემია-ხელფასებს კრიტიკით მკითხველებს ლამის ყურები გავუხვრიტეთ.

— საქმეც ეგ არის, რომ ჩვენ ვაკრიტიკებთ, აი ხალხს კი თურმე მოსწონს მთავრობის ხელფასები. ჩვენ თუ ცხოვრების რეალური სურათის ხატვა გვინდა, ასეთ რამეებს უნდა ჩავუღრმავდეთ.

— როგორ ჩავუღრმავდეთ?

— როგორ და ასე — რაც ხალხს მოსწონს, ჩვენც გეზი იქითკენ უნდა ავიღოთ.

— მაღალი ხელფასებისკენ?

— სწორედაც, პრეზიდენტს არ უყურებთ, სულ იმის მცდელობაშია, რაც ხალხსა და ოპოზიციას (გნებავთ, ის ნაცმოძრაობა იყოს) მოსწონთ, ის აკეთოს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ.

— მართალი ხართ, ფაქტს სად გავექცევით.

— ასეა, გაზეთიდან რომ გაიგებს, ხალხს მთავრობის მაღალი პრემია-ხელფასები მოსწონს, პრეზიდენტი დაფიქრდება და პენსიებს გააორმაგებს, მომუშავეთა ანაზღაურებას კი ჩინოვნიკებისას გაუთანაბრებს.

— გავკეთებულვართ და ეგ



არის. ამხელა ხელფასები და პენსიები თუ გვექნება, იქნებ ბიზნესი წამოგვეწყო? — შევაპარე გულბათს.

— კეთილი, მაგრამ რომელ სფეროში?

— აი თუნდაც სატყეო ბიზნესში რომ ჩავერთოთ, განა ცუდი იქნება? ალბათ, გაიგებდით, მთავრობა თურმე ნაცების მიერ მორჩენილი ტყეების გაყიდვასაც აპირებს.

ეგ კარგი გამახსენე, თქვა გულბათმა, სასწრაფოდ მობილური დააძრო და გარემოს დაცვის სამინისტროს დაუკავშირდა.

— მინისტრი ბრძანდებით?

— არა, ბატონო, თანაშემწე გახლავართ.

— უფრო კარგი, შინაურულად ვილაპარაკებთ, — დაითაფლა ენა გულბათმა.

— რასთან დაკავშირებით?

— ჩვენმა გაზეთმა ტყის შესყიდვა გადაწყვიტა და იქნებ როგორმე მოგვეხმაროთ?

— მაგრამ რომ აღარ იყიდება?

— რატომ გადაიფიქრეთ?

— ჩვენ კი არა, ბატონო, საპარლამენტო უმრავლესობამ ასე გადაწყვიტა.

— პრემიერს არ გავაგებინებთ, ჩვენ პირდაპირ ხადურისგან ვიყიდით.

— ეგ უკვე სხვა ლაპარაკია, — მოლბა თანაშემწე, — მაინც სად ინებებდით?

— რკონის ტყეში.

— ეგ ტყე, ბატონებო, საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე გაყიდვამდე შეიძინა.

— ვერ გაძლა მაგათი მუცლები, — აბუზღუნდა გულბათი, — ყველაფერი სათავისოდ უნდათ. მაგ მამაცხონებულებს იმხელა ტყეში ნუთუ რამდენიმე ძირი მუხა და წიფელა მაინც არ მორჩათ?

— აა, თქვენ შეშის დამზადებას აპირებთ?

— არა, ბატონო, შეშას რა თავში ვიხლით, ზაფხულში ქალაქში ხვატი რომ ჩამოწვება, ტყეს შევაფარებთ თავს და გემრიელად ვიქეიფებთ.

— თქვენ საქეიფო ბიზნესის წამოწყებას აპირებთ? მაგ საქმისთვის, ბატონო, ტყე არ იყიდება, მაგრამ თუ მაინც გამოვა, ძალიან ძვირი დაგიჯდებათ.

— არა უშავს, გადაიხდიან?

— ვინ გადაიხდის?

— ისინი, ვისაც ტყეში საქეიფოდ დავპატიჟებ.

— დარწმუნებული ხართ?

— რა თქმა უნდა, აქ რესტორანში როცა ვეპატიჟები, გაცილებით ძვირი უჯდებათ, მაგრამ მაინც იხდიან.

— მარტო ხეებს შეიძენთ?

— თუ ერთი 50 მეტრი სიგრძის მდინარესაც გაიმეტებთ, მთლად უკეთესი — ციმორსაც დავიჭერთ.

— იმას ვიღა გადაიხდის?

— მაგას თავად მეთევზეები იკისრებენ.



— თქვენა, ბატონებო?

— მეც მათთან ერთად ვიქეიფებ. ზოგიერთივით ბიზნესით ფულს კი არ ვაკეთებ, ჩემი ბიზნესი ქეიფია.

**ოტია ჩართოლანი**

### სანთელი

# იგი კეთილშობილებით და სათნოებით იყო მოსილი

## ალდე კაკაბაძის ხსოვნას



გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი-კერამიკოსი ქალბატონი **ალდე კაკაბაძე**. მან დაგვიტოვა მაღალმხატვრული ხელოვნება, ნატიფი და მშვენიერი, ისეთი, როგორიც თავად იყო ცხოვრებაში.

იგი ღვთიური კეთილშობილებითა და სათნოებით იყო მოსილი. მის ხელოვნებაში ხშირად შეამჩნევდით უძველესი ქართული კერამიკის და თანამედროვე მხატვრული ხედვის სინთეზს, რაც ნაწარმოებს ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა, მაგრამ ტრადიცია ყოველთვის რჩებოდა ქართული.

მისი ქმნილება მსოფლიოს ყველა მუზეუმში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. მისი ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს ხალხთა კერამიკისა და ეთნოგრაფიულ მუზეუმებში: თბილისის, ბერლინის, პრაღის, მოსკოვის, ჩიკაგოს და ა. შ.

მისმა შემოქმედებამ და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა. იგი იყო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, რომელმაც მრავალი თაობა და სასახელო ხელოვანი აღუზარდა ჩვენს სამშობლოს.

ქ-ნ ალდეს ოჯახს დიდი მადლი სცხია, მისმა მეუღლემ ბ-ნმა რეზო იაშვილმა აღადგინა მივიწყებული ქართული უძველესი შავი კერამიკა, რასაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. ამავე დროს დაგვიტოვა თავისეული მაღალმხატვრული შემოქმედება, ხოლო მისი ვაჟი ბ-ნი გია იაშვილი ღირსეული გამგრძელებელია მშობლების საქმიანობისა.

**საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს ქ-ნ ალდეს გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ბ-ნ გია იაშვილს, ოჯახს და ახლობლებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

### ზამთარშიც საინტერესონი ვართ!

# დიდთოვლობა იყო, მაგრამ ტურისტები მაინც არ გვაკლდა

**მიმდინარე წლის იანვარში საქართველოში ტურისტების რაოდენობა 4,3 პროცენტით გაიზარდა. შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წლის იანვრის თვე 323 159 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2015 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 4,4 %-ით მეტია.**



**შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:**

**ტურისტი — 116 369 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 36%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 4,3%)**

**ტრანზიტი — 48 466 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 15%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან — 16%)**

**სხვა — 158 324 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 49%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 13%).**

**2016 წლის იანვარშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარშიც გამოირჩნენ საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და გერმანია, შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსია, ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი , ხოლო აზიის ქვეყნებიდან — არაბთა გაერთიანებული საემიროები. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 7%-იანი ზრდა.**

### ინფორმაცია

# გრიპის ვირუსის ზრდის ტენდენცია შემცირებულია

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადებით, გრიპის ვირუსთან დაკავშირებით პაციენტების მიმართვიანობის რაოდენობა გაზრდილია, თუმცა შემცირებულია გრიპის ვირუსის ზრდის ტენდენცია.**

**როგორც ამირან გამყრელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, 2015-2016 წლის გრიპის სეზონზე სულ H1N1-ის 55 შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის 7 ლეტალურად დასრულდა, ასევე გრიპის ვირუსით გარდაცვლილა კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც H3N2 დაუდგინდა.**

**„მეორე კვირიდან მესამე კვირაზე ჩვენ გვქონდა 100 ათას მოსახლეზე ნაქტომისებური ზრდა 248-დან 332-მდე, მეოთხე კვირაში 332-დან ეს გაიზარდა მხოლოდ 357-მდე, ანუ ზრდის ტენდენცია შემცირებულია. იგივე ტენდენცია გვაქვს ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელში, თუ მეორე კვირიდან მესამე კვირაზე 11-დან 20 პროცენტამდე იყო გაზრდილი ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი, მესამიდან მეოთხე კვირაზე ეს მაჩვენებელი 20-დან 25 პროცენტამდე გაიზარდა“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.**

# ყველა ენა ერთი ენისგან წარმოიშვა



**ამერიკელმა და ბრიტანელმა ლინგვისტებმა მსოფლიოს 80 ენის მარტივი სიტყვების მნიშვნელობა ერთმანეთს შეადარეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველა მათგანს საერთო სემანტიკა აქვს, რაც კაცობრიობის მეტყველების საერთო მახასიათებელზე მიანიშნებს.**

ჟურნალ Proceedings of the National Academy of Sciences-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ლინგვისტებმა ოქსფორდის უნივერსიტეტის მათემატიკოსების დახმარებით შეიმუშავეს მეთოდი, რომლის საფუძველზეც, ადვილია, განისაზღვროს რამდენად ახლოა ცალკეული ენებში ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს მეთოდი ჰგავს, ერთგვარად, ყველასათვის ცნობილ თამაშს – „გაფუჭებული ტელეფონი“. ამ მეთოდის მიხედვით, ერთი ტექსტი, შესაბამისი აზრით, „თარჯიმანთა“ მეშვეობით, ჯაჭვურად გადაეცემა ერთმანეთს. ამ მეთოდის მიხედვით, მეცნიერები იღებდნენ მარტივ ტექსტს და მას შემთხვევით შერჩეულ 80 ენაზე გადასცემდნენ, შემდეგ ტექსტის გადაცემას კვლავ იმეორებდნენ.

სხვადასხვა ენაზე გაჟღერებული ფრაზების აზრს ერთად აგროვებდნენ, რამაც მეცნიერებს საშუალება მისცა, განესაზღვრათ, რამდენად განსხვავდებიან ან ჰგავანან ერთმანეთს ცალკეული ენები.

**ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ენათა აღრევა ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ისტორიიდან მოდის...**

სიტყვებისა თუ ფრაზების შერჩევა ხდებოდა მარტივი მნიშვნელობის მოვლენების აღწერიდან – ციური სხეულები, რელიეფის ფორმა, დღის ცალკეული მონაკვეთი, რასთანაც შეხება აუცილებლად უნდა ჰქონოდათ ადრეულ ადამიანებს.

როგორც კვლევისას დადგინდა, მსოფლიოს ყველა ენაში არის სამი უმთავრესი მახასიათებელი. **პირველი** მოიცავს სიტყვებს, რომელიც აღწერს ამა თუ იმ ფენომენს დაკავშირებულს წყალთან, **მეორე** – სიტყვები, რომელიც უკვაშირდება მთას ან მყარ საგნებს, **მესამე** – რელიეფის სხვადასხვა ფორმა, დრო და ციური სხეულები. ამ მახასიათებლების არსებობა, მეცნიერების აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ მსოფლიოს ხალხების ენებს ერთი ფუძე ჰქონდა. მეცნიერები არც იმას უარყოფენ, რომ ეს მოსაზრება, შესაძლოა, ერთგვარად ტრივიალურადაც ჟღერდეს, თუმცა, მიიჩნევენ, რომ ამ მახასიათებლების აღმოჩენა მნიშვნელოვან კვლევებსა და აღმოჩენებს დაუდებს საფუძველს.

**◉ სათრევελა**

## რა ხდება, გოცო?

**ლარზე პანიკური ვაი-უშველებლით თვალებში ნაცარს რატომ გვაყრის კუპონის გამკუპონებელი გოცირიკა?**



**ჟურმოკრული დიალოგიდან**

რომ ხარ ფესკალურ ძრომაში
კუპონის გამომკვერავი,
გოცირიძეანთ რომანში
ეჭვს ვერ შევიტანთ ვერავინ!
ღარიბი დააგლახავე,
მდიდრებს ჩუქნიდი აქციებს,
თუმცა, ისიც ვთქვათ ახლავე,
„მილიონრებად“ გვაქციე!.
ა, გაშრა სისხლი უპოვრის
გულისა დადაგულისა,
მილიონობით კუპონის
ფასად კილოგრამ პურისა.
ჰოდა, დავრწმუნდით უკლებლად,
ვის როდის როგორ „უშველე“?!
მოდი, ლაყბობას უკელ და
ლარს ჩვენ ვუშველით უშენოდ...

**ალექსანდრე შენგელია**
**ქუთაისი.**

**◉ კაკალ გულში**

## ნუგზარ წიკლაურის ვარსკვლავი ანომალიურად გაიხსნა!

● ჯერ „აბესალომი და ეთერი“ დადგეს, მერე „დაისს“, „ქეთო და კოტეს“, „ბორის გოდუნოვს“, „მაკნატუნას“ და „გედების ტბას“ დადგამენ. მერე გაზპრომიც შემოვა, ქურქებსაც ჩაიცვამენ და დაგვრჩა ქეთათო უმუშევარი!

„ევროპელობას“ გვართმევენ ხალხოოოო!!! დავანგრიოთ ოკუპაციის პლაცდარმი!!!

როგორც აქა-იქ ბევრს
სურდა,
ბეზ სლედსტვია და ბეზ
სუდა,
მიშას დაიჭერს პუტინი,
პუტინს დაიჭერს ბენსუდა.



● ჰა, აღარ დავრჩით ნორმალური ქართველები უმცირესობაში, ჩვენი უფლებებიც რომ დაიცვას ვინმემ?!

● ძალიან შევწუხდი უკვე შუბებზე ლაპარაკით! ტვინი მეტკინა რაა! გა-ვი -ა -რეთ! გავიარეთ! ვიღაცას არ უყვარს და რომც აჩუქო, უბრალოდ არ ჩაიცვამს, ვერ იქნება კომფორტულად, მაგრამ აი, ვინც ტანსაცმელს იგლეჯს, ეს რა ჩაიდინესო, ძალიან ბევრს თვითონაც რო აცვია, ან თუ ვერ აცვია, სიამოვნებით რომ ჩაიცვამდა, ამაზე არავინ შემედავოს რაა! არ გვინდა ეხლა ეს „მე შუბას როგორ ჩავიცვამ, როცა ვინმეს სადღაც შია“... ნი ნადა დრუგ დრუგუ ვეშაწ ლაპშუ ნა უში!

● გლინტვეინს რომ სვამდით, ოპერის ბაღში იყავით, თუ ტანც გეურქას დუქანში? ბარემ ტრიკოიან ქეთათოსაც ემღერა რაიმე არია „სოფლის პატიოსნებიდან“.

„კულტურული“ მარიამ საჯაია რას ფიქრობს ამ თემაზე?

● ქალები ვერ გაგვითხოვებია და ამ გეებს რა დაათხოვებს?

● გუშინ ნაციონალური მოძრაობის ცენტრალური ოფისის წინ, ნუგზარ წიკლაურის ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავი მოულოდნელად, თავისით გაიხსნა.

უფოლოგებმა უკვე დაიწყეს ამ ანომალიური მოვლენის შესწავლა.

● რატომ იწყებს „კურიერი“ ყოველ გადაცემას ნიუსით: მოკვდა, დაიღუპა, დაიბრიდა, აფეთქდა, დაიწვა, დაენძრა...

ერთხელაც თქვი რა, შე დალოცვილო, – დღეს დილით გათენდა და მზე ამოვიდა!!!

● რახან წითელ ხალიჩაზე არ გამივლია ქალაქის ბომონძში არ გავდივარ ხომ? ახლა სერიოზულად. იმ წითელ ხალიჩაზე მართლა გაიარა რამდენიმე საპატივცემულო და ქვეყნის წინაშე დამსახურებულმა ადამიანმა. მაგრამ ზოგი ისეთიც იყო, საღორის წინ რომ არ გაატარებ... ღირსეულ ადამიანს ხალიჩა არ ჭირდება, ვინც წითელ ხალიჩას ეძებს საკუთარი მეს ხაზის გასასმელად და ბომონდობას იჩემებს, მაგარი 9 ნომერი კალოშია.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

**◉ ცინცხალი ანეკდოტები**

**ყაჩაღებმა** კახელი ცოლ-ქმარი დაიჭირეს.

– შენ რა გქვია? – ეკითხება ქალს ატამანი. – მარო. – კარგი, შენ ხელს არ გახლებ, დედაჩემსაც მარო ერქვა.

შენ რაღა გქვია? – ეკითხება ქმარს. – მე მიხოი, მარა ბალღობაში გარეგნობით ძაან ვგავდი დედითქვენსა.

* * *

**მიხო** და მარო გადაწყვეტენ, გახსნან სუპერმარკეტი... მიხო იტყვის – „მიხო“ დავარქვათო, მარო იტყვის – „მარო“ დავარქვათო და ბოლოს დაარქმევენ „მიხმაროს“.

* * *

მარო და თებრო მიდიან ორღობეში, უცებ მარომ ფეხი ნეხვში ჩაყო და თქვა: – უი, ქა, ნეხვი ყოფილა. თებრო ეუბნება: – ქალო, ნეხვზე გამახსენდა, შენი მიხა როგორ არის?

* * *

**მიხო** ჩავა გურიაში. იქ, სოფლის ბირჟაზე ამბობს: – მე ისეთი კაცი ვარ, რომ სვანეთში თავს სვანად ვგრძნობ, თბილისში თბილისელად. გურულს მისი გაღადავება მოუნდა და უთხრა: – აბა ერთი მითხარი დებილებში როგორ გრძნობ თავს? – ჯერ არ ვიცი. პირველად ვარ გურიაში, – მოუჭრა კახელმა.



* * *

**მიხოს** ეკითხებიან: – როგორა ხარ? – ფანდურივითა ვარ...

– ეგ როგორა კაცო? – როგორა და იმასაც სამი ლარი აქვს და მეც.

* * *

**კახეთში** მიხო ქვის ღობეს აკეთებს. მარო დაადგება თავზე და სულ მითითებებს აძლევს – ეს ქვა ისე დადე ..ის ქვა ასეო... შეუღონა გული... მიხომ უყვირა: – დამანებე ქალო თავი. ასე მეუბნებოდი მაშინაც აქედან, იქიდანო და შეხედე, ჩვენი გიგო რა მოღრეცილი გამოგვივიდაო.


**გამოიწერეთ:**
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!